გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

60 თვითრი

№124 (1150) 4 - 6 დეკემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

სოციალურ ქსელს ფსიქოლოგიურ პათოლოგიამდე მივყავართ

რას ნიშნავს ცრუ თვითრეალიზაცია და როგორ ავირიდოთ FACEBOOK-მანია

გვ. 9

დიდი აფერა ანდრეი მაკარევიჩის სახელით

გვ. 5

რატომ გადაიდო როკ-მომღერლის კონცერტი და რატომ არ აბრუნებს Altervision Group გაყიდული ბილეთების თანხას თებერვლამდე

რატომ გადაიქვთ ქუთაისში 980 ათასი წიგნი?!

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ბრალდებებს პასუხობს

გვ. 3

საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმა მხოლოდ „რუსთავი 2“-სთვის შეაჩერა?!



გვ. 6

სამი მიზეზი, რის გამოც რუსეთ-თურქეთის ომი არ იქნება

გვ. 4

თანამედროვე სააკაძის ალსარება „კაზლიატნიკში“

როგორ გაწირა შვილი მომავალმა ქურდმა და რატომ არ იძია შური მკვლელებზე

გვ. 7

პენიტენციალური დღიური

სუს-ში დიპლომატებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უმასპინძლეს

გვ. 2

სუს-ში დიპლომატებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უმასპინძლეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში საქართველოში აკრედიტებული საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და უსაფრთხოების ატაშეებთან გაერთიანებული შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე აღინიშნა ის საფრთხეები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას დღეს საერთაშორისო საზოგადოება და ხაზი გაესვა ტერორიზმთან ბრძოლისა და სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელობას. მხარეებმა ისაუბრეს საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიანობისა და ინფორმაციული მიმოცვლის მექანიზმების დახვეწის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე. შეხვედრაზე მიმოიხილეს განხორციელებული რეფორმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ძირითადი ასპექტები და განვითარების პერსპექტივები.

შეხვედრას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი ლელა ჩიქოვანი, კონტრტერორისტული ცენტრის უფროსი ირაკლი ჩიმაკაძე, ანტიკორუფციული სააგენტოს უფროსი ლაშა ცომაია, საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი ბერაია და სამსახურის სხვა ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პარტნიორი ქვეყნების: აშშ-ს (გამოძიების ფედერალური ბიუროსა და სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს, თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს წარმომადგენლები, ასევე რეგიონული უსაფრთხოების ოფიცერი), ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ბელგიის, ბულგარეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ესტონეთის, თურქეთის, იაპონიის, ისრაელის, იტალიის, ლატვიის, ლიტვის, საბერძნეთის, საფრანგეთის, სომხეთის, უკრაინისა და უნგრეთის საელჩოების წარმომადგენლებმა, უსაფრთხოებისა და პოლიციის ატაშეებმა. ღონისძიებაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ევროპოლის, საქართველოში ნატო-სა და ევროკავშირის ოფისის, ევროკავშირის მონიტორინგის მისიისა და წითელი ჯვრის წარმომადგენლები.

„ვერსიანიუსი“

საქართველოში მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია აიკრძალება

შს მინისტრმა განცხადებით, ტყუილია, თითქოს მარჯვენასაჭიან მანქანებზე დამატებითი გადასახადი წესდება ან ასეთი ავტომანქანებით მოძრაობა იკრძალება: **„მსგავსი არაფერი იგეგმება. ვისაც გააჩნია უკვე რეგისტრირებული მარჯვენასაჭიანი ავტომანქანები ან ჰყავთ ავტომანქანები გადატანილი საჭით, შეუძლიათ მთელი ცხოვრება გამოიყენონ ისინი, ჩვენ მათ არ ვეხებით“.**

მინისტრმა განმარტა, რომ იკრძალება რეგისტრაცია და არა — იმპორტი, ტრანზიტი, დროებითი შემოყვანის რეჟიმი და რეექსპორტი.

შს მინისტრის განცხადებით, საქართველოში ძალიან მოდაშია დაშლილი ნაწილებით ვაჭრობა და ასეთი მანქანების იმპორტის შემთხვევაში, მფლობელს შეუძლია, დაშალოს იგი, ვინაიდან რეგისტრაციაში არ გატარდება: **„სტატისტიკა საგანგაშოა, ვინაიდან 2015 წლის მონაცემებით მარჯვენასაჭიანი მანქანების იმპორტი საქართველოში 50%-ს გაუტოლდა. ასეთი რამ მსოფლიოს 2 ქვეყანაშია, სადაც მარცხენასაჭიანი მანქანებით არის ნებადართული გადაადგილება, ეს ქვეყნებია ავღანეთი და ბირმა. თუ ჩვენ გვინდა, დავემსგავსოთ ავღანეთს და ბირმას, შეგვიძლია დავრჩეთ იგივე რეჟიმში და გავაგრძელოთ ამ ავტომანქანების იმპორტი. ყველა ევროპულ ქვეყანაში კი მაქსიმალური მაჩვენებელია 10%“.**

მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაციაზე შეზღუდვის დაწესების ინიციატივა დადებითად შეაფასა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მან მინისტრთა კაბინეტის წევრებს დაავალა, საწვავის, დიზელის, ბენზინის გეგმური შემოწმება რეგულარულად გააგრძელონ. მთავრობის მეთაური საზოგადოებრივი კვლევის ჩატარების ინიციატივითაც გამოვიდა. მისი განცხადებით, გამონაბოლქვისა და მისგან გამოწვეული დაავადებების შემცირების მიზნით, მთავრობამ საზოგადოებრივი აზრი უნდა გამოიკვლიოს.

მოგვიანებით, განმარტება გააკეთა შს მინისტრის მოადგილე, შალვა ხუციშვილმაც. მისი განცხადებით, მარჯვენასაჭიან ავტომანქანებთან დაკავშირებით ცვლილება სამინისტრომ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში ახალი პროგრამის ფარგლებში მიიღო. მისივე თქმით, შეიძლება, ტექდათვალიერების შემდეგ საჭეგადატანილმა მანქანებმა შესაძლოა ტექნიკური დათვალიერება ვერ გაიაროს: **„საჭეგადატანილებს რაც შეეხება, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივაა, რომ საზოგადოებაში დაიწყოს ამაზე მსჯელობა. წინასწარი მონაცემებით, რაც ექსპერტებთან მოლაპარაკების შედეგად გვაქვს, ქვეყანაში არის გარკვეული რისკი, რომ ტექდათვალიერების ამოქმედების შემდეგ, საჭეგადატანილმა ავტომობილებმა ტექდათვალიერება ვერ გაიარონ და გაჩერდნენ. ეს საკითხიც გამოვიტანეთ მსჯელობის საგნად ამ კანონპროექტის ფარგლებში“.**

„პია“

გიორგი ბადაშვილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს უხელმძღვანელებს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გიორგი ბადაშვილი უხელმძღვანელებს.

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ახალი უფროსი საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებს წარუდგინა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, გიორგი ბადაშვილმა სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებს მომავალი საქმიანობის საკუთარი ხედვა გააცნო და ყურადღება მუშაობის მთავარ პრინციპებზე გაამახვილა.

გიორგი ბადაშვილი 2006-2013 წლებში მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2013 წლის მაისიდან ნოემბრამდე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს უფროსის მოადგილე, ხოლო 2014-2015 წლებში იკავებდა საქართველოს მთავარი პროკურორის პოსტს.

სამინისტროს ინფორმაციით, საგამოძიებო სამსახურის ახალი ხელმძღვანელი მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა, ხოლო უწყების ყოფილი უფროსი ლერი ბარნაბიშვილი ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობას დაიკავებს.

„პია“

ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე ჯარიმა 300 ლარამდე იზრდება

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ახალი პროექტის თანახმად, ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე ჯარიმა გაიზრდება და მისი ოდენობა 300 ლარით განისაზღვრება.

შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილის თქმით, კანონპროექტის ნაწილია ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, რომელიც რამდენიმე სიახლეს გულისხმობს.

მისივე თქმით, 40 კილომეტრ/საათის ფარგლებში სიჩქარის გადაჭარბება 50-ლარიან სანქციას გამოიწვევს, ხოლო 40 კილომეტრ/საათზე ზევით სიჩქარის გადაჭარბება უფრო მკაცრად დაისჯება: **„მნიშვნელოვანი სიახლეა ასევე ღერძულა ხაზის გადაკვეთის შედეგად საპირისპირო ზოლში მოძრაობა. ალბათ, ბევრი შენიშნავდით, როდესაც თქვენ თქვენს ზოლში მოძრაობთ და ხედავთ, შუქნიშანზე გაჩერებულ, ან საცობის შემთხვევაში, როგორ გადაკვეთს რომელიმე თავხედი მძღოლი და მოძრაობს პარალელურად საპირისპირო ზოლში იმისთვის, რომ გაასწროს ამ რიგს. ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა და ჩვენი ინფორმაციით, საცობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევია, ამიტომ ამის მიმართაც გამკაცრდება და 300-ლარიანი ჯარიმით დაისჯება ასეთი შემთხვევები. ამ მიმართულებით ადმინისტრირებაც გამკაცრდება“.**

„პია“

შვეიცარიაში FIFA-ს ჩინოვნიკების დაკავების ახალი სერია დაიწყო

შვეიცარიის ხელისუფლებამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლების დაკავების ახალი ეტაპი დაიწყო. ამერიკული გამოცემა New York Times-ის ინფორმაციით, კორუფციის ბრალდება შესაძლოა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ათზე მეტ ჩინოვნიკს წარედგინოს.

ჩინოვნიკთა დაკავება იმავე სასტუმროში მოხდა, სადაც FIFA-ს სხვა მაღალჩინოსნები 2015 წლის მაისში დააკავეს.

ჯერჯერობით არ ხმაურდება დაკავებულთა ვინაობა და თანამდებობები, თუმცა, გამოცემის ცნობით, დაკავებულთა შორის არ არის ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი ზეპ ბლატერი. ციურიხის პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, სამართალდამცავებმა ოპერაცია შვეიცარიის იუსტიციის სამინისტროსა და შვეიცარიის პოლიციის გადაწყვეტილებით ჩაატარეს.

23 ნოემბერს FIFA-ს ეთიკის კომიტეტის საარბიტრაჟო პალატამ ზეპ ბლატერთან და UEFA-ს ხელმძღვანელ მიშელ პლატინისთან დაკავშირებით საქმე აღძრა. FIFA-ს თავკაცს ორგანიზაციისთვის უსარგებლო კონტრაქტის გაფორმებასა და მიშელ პლატინისთვის გაუმართლებელი ჰონორარის — 2 მილიონი შვეიცარული ფრანკის გადახდას ედავებიან.

ეუთო-ს მინისტერიალზე აშშ-ს ინიციატივით საქართველოს მეგობართა ჯგუფის შეხვედრა გაიმართა

საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ეუთო-ს 22-ე მინისტერიალში მონაწილეობს, რომელიც 2015 წლის 3 დეკემბერს ბელგრადში ოფიციალურად გაიხსნა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ეუთო-ს მინისტერიალის ფარგლებში პლენარული სხდომის დაწყებამდე აშშ-ს ინიციატივით საქართველოს მეგობართა არაფორმალური ჯგუფის წარმომადგენლების ხანმოკლე შეხვედრა მოხდა, რითაც მინისტრებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს საკუთარი მხარდაჭერა საქართველოს მიმართ.

ეუთო-ში საქართველოს მეგობართა ჯგუფის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს საკითხების, მისი პრობლემატიკის სათანადო წარმოჩენას ორგანიზაციის ფარგლებში.

ეუთო-ს 22-ე მინისტერიალის ფარგლებში გიორგი კვირიკაშვილი ორმხრივ შეხვედრებს გამართავს ეუთო-ს გენერალურ მდივან ლამბერტო ზანიერთან; ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დირექტორ მაიკლ გეორგ ლინკთან; ეუთო-ს უმაღლეს კომისართან ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ასტრიდ თორსთან; ეუთო-ს წარმომადგენელთან მედიის თავისუფლების საკითხებში დუნია მიატოვიჩსა და რიგი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

გიორგი კვირიკაშვილი ასევე სიტყვით გამოვა მინისტრთა საბჭოს პლენარულ სესიაზე, სადაც განცხადებას გააკეთებს უსაფრთხოების გამოწვევებზე ეუთო-ს სივრცეში და ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ვითარებაზე.

„პია“

რაზომ გადააქვთ ქუთაისში 980 ათასი წიგნი?!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი ქუთაისში გადადის. ამის შესახებ „ვერსიას“ ინფორმაციას ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლები აწვდიან და იმ საფრთხეებზე საუბრობენ, რაც წიგნების ტრანსპორტირებას შეიძლება მოჰყვეს. ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული ბიბლიოთეკის ადმინისტრაციაც ავრცელებს ბიბლიოთეკის საინფორმაციო გვერდზე.

ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ბრალდებებს პასუხობს

„მკითხველს გაუმჯობესებული მომსახურების სახით, სასიამოვნო სიახლეს ვთავაზობთ. მალე დაიწყება ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის გამაგრებითი სამუშაოები, რომელიც 2016 წლისთვის დასრულდება. როგორც ცნობილია, პირველი კორპუსის ავარიული მდგომარეობის გამო, ამ კორპუსის საცავში დაცული რუსული ფონდი 2008 წლიდან დახურული იყო და მკითხველს ეს ლიტერატურა ნაწილობრივ, ან საერთოდ არ მიეწოდებოდა. პირველი კორპუსის გამაგრებითი სამუშაოების მიმდინარეობისას, რუსული წიგნების ფონდი, დროებით ეროვნული ბიბლიოთეკისთვის ახლადგადაცემულ და გარემონტებულ კორპუსში გადაინაცვლებს, რომელიც ქუთაისში მდებარეობს. საცავში შექმნილია წიგნების შენახვისთვის საჭირო ყველა პირობა, რაც ფონდის სრულად დაცვას უზრუნველყოფს. ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველს ამ ფონდიდან წიგნები შეუფერხებლად მიეწოდება. ლიტერატურას მკითხველი მიიღებს იმ დროში, რა დროც მოთხოვნილი წიგნების ქუთაისიდან დედაქალაქამდე ტრანსპორტირებას დასჭირდება. ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი სარეაბილიტაციოა და იგი სრულად განახლდება. თუკი აქამდე ბიბლიოთეკის მეორე და მესამე კორპუსები მუშაობდა აქტიურად, ახლა მას პირველი კორპუსიც შეემატება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქუთაისის ბიბლიოთეკაც აქტიურად იმუშავებს, ძალიან ბევრი ადამიანი დასაქმდება და ქუთაისელები მაღალი სტანდარტების შესაბამისი ბიბლიოთეკით ისარგებლებენ“, — განცხადების წაკითხვისთანავე რამდენიმე კითხვა ჩნდება — რა რაოდენობის წიგნებზეა საუბარია, რატომ ვერ მოხერხდა თბილისში ალტერნატიული ფართის გამოძებნა, რატომ გადის ბიბლიოთეკიდან მაინცდამაინც რუსულენოვანი წიგნები და რატომ ქუთაისში? ან როგორ შეიძლება, წიგნები შეუფერხებლად მიეწოდებოდეთ ადამიანებს ქუთაისიდან თბილისში? თუკი ამ კითხვებზე ლოგიკური პასუხი არსებობს, მაშინ ეროვნული ბიბლიოთეკის უმნიშვნელოვანესი კორპუსის რეაბილიტაცია როგორ შეიძლება, ცუდი იყოს, თუმცა ამ კითხვებს ის ეჭვები და მოსაზრებები ემატება, რომელთა შესახებ „ვერსიასთან“ საჯარო ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომელი **ირმა დოლიძე** საუბრობს, რომელიც 4 დეკემბერს სწორედ ამ თემაზე მკითხველებთან დაგეგმილი შეხვედრაზეც აპირებს წასვლას და ამ საკითხების დაყენებას: **„2 კვირის წინ, თანამშრომლებისგან გავიგე, რომ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკიდან გადის რუსული წიგნების ფონდის ნაწილი. ახლა კი აღმოჩნდა, რომ გადის მთელი რუსული ფონდი. სურათებიც კი მაქვს გადაღებული, რომ ბიბლიოთეკაში გიორგი კეკელიძის მოსვლიდან ძალიან ცოტა ხანში, პერიოდიკის სამკითხველო დარბაზში, ეს წიგნები პირდაპირ ეყარა და მითხრეს, ვითვლითო. ამბობენ, წიგნები დავახარისხეთ და რუსული ფონდი მთლიანად მიდის შენობიდანო. ამის მიზეზად სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ასახელებენ. რა გამოდის — ალტერნატიული ფართი მაინცდამაინც რუსული ფონდისთვის ვერ მოიძებნა**

თბილისში? ხომ შეიძლება, დანარჩენ ფონდებსაც იგივე ბედი ეწიოს? თუ პირველი კორპუსი, სადაც საცავებია, საძირკვლის გამაგრების გამო უნდა დაიკეტოს, შესაბამისი დასკვნაც უნდა არსებობდეს, ვთქვათ, არქიტექტურის სამსახურიდან, ხარჯთაღრიცხვაც უნდა გაკეთდეს, უნდა ვიცოდეთ, ვინ ჩაატარებს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ისე, რომ გარედანაც და შიგნითაც ყველაფერი სტანდარტებს შეესაბამებოდეს. თუ ასეთი საბუთები არ არსებობს, მაშინ ეს სარეკონსტრუქციო სამუშაო უბრალოდ მიზეზია, რომ დაუთვლელი წიგნები სადღაც გაყარონ. თან ამბობენ, რომ მკითხველის მოთხოვნის შემთხვევაში, ამ წიგნებს ქუთაისიდან თბილისში გადაიტანენ და გადმოიტანენ. ვერ გავიგე, ბებიების ქონება ხომ არ არის, ასე უნდა ატარონ აქეთ-იქით? წიგნი მკითხველს შეუფერხებლად მიეწოდება ქუთაისიდანო, განმარტავენ და ჩვენ დარბაზიდან გაუსვლელად უნდა ველოდეთ, როდის ჩამოიტანენ დეპუტატები წიგნებს ჯიპებით, თუ საბაგირო გაკეთდება და თითო წიგნს დაუშვებენ თბილისამდე — ეს ხომ მასხრად აგდებაა? ორი პარლამენტი ხომ იაფი გვიჯდება და ახლა თურმე, წიგნებიც უნდა ვატაროთ მანქანებით. პარლამენტს ბიბლიოთეკის ბიუჯეტის გაზრდას რომ სთხოვენ, აუდიტის სამსახურის შესვლას და ინვენტარიზაციისთვის თანხის გამოყოფას რატომ არ სთხოვენ? ჩნდება თუ არა ეჭვი, რომ წიგნად ფონდებში დიდი დანაკლისი აქვთ? ყველაზე მეტი სწორედ რუსულენოვანი წიგნი იყო და დანაკლისიც სწორედ მანდ აქვთ, ჩემი ინფორმაციით. რაკი ეს ფონდი რუსულენოვანია და რუსეთი ოკუპანტია, ამიტომ არ გვინდა რუსული წიგნები? ეს პრიმიტივიზმია!“

„ვერსია“ ამ ბრალდებებზე საპასუხოდ **გიორგი კეკელიძეს,** ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს დაუკავშირდა. მისი თქმით, ბიბლიოთეკის ისტორიული კორპუსის რეკონსტრუქცია მისი არსებობის ისტორიაში პირველად ხდება, რაც მისალოცი ამბავია. როგორც კეკელიძე ამბობს, გამაგრების გეგმაზე მუშაობა ბიძინა ივანიშვილის „ფონდ ქართუსთან“ და მის მიერ შეთავაზებულ არქიტექტორებთან ერთად დაიწყო. დღეს ეს არქიტექტორები უკვე ბიბლიოთეკამ დაიქირავა და უკვე მომზადებული გეგმის მიხედვით, საჭირო გახდა სწორედ იმ კორპუსის დაცლა, სადაც რუსულენოვანი წიგნები ინახება: **„გამაგრების პროცესში, ერთობლივად ვცდილობდით, თბილისშივე მოგვეძებნა ფართი წიგნების გადასატანად და ამ თემაზე შეგიძლიათ არაერთი წერილიც ნახოთ, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს მივწერეთ. სამწუხაროდ, ისეთი ფართი, რომელიც ამხელა მასალას დაიტევდა, ვერ გამოიძებნა. ქუთაისში მიდის რუსულენოვანი ფონდის ნაწილი, რომელიც 1945 წლიდან 70-იან წლებამდე პერიოდის საბჭოთა სავალდებულო ლიტერატურას მოიცავს. ეს წიგნები სწორედ პირველი კორპუსის სარდაფის ქვეშ იყო განთავსებული. ყველა წიგნი აღრიცხულია და არ მესმის, რა მიღება-ჩაბარების აქტების არარსებობაზეა საუბარი, როცა ბიბლიოთეკის ერთი კორპუსიდან მეორე, ჩვენსავე კორპუსში გადაგვაქვს წიგნები? ქუთაისის ბიბლიოთეკის ეს კორპუსიც დიდი ბრძოლით გადმოგვეცა და ისიც გავარემონტეთ. წიგნების რაოდენობა დეტალურადაა აღნუსხული და შესაბამისი დოკუმენტაციაც არსებობს. ამიტომ ბრალდებები, რომ ჩვენ რუსულ წიგნებს ვყრით და ა.შ. აბსოლუტურად კომიკურია. როცა ასეთი პოზიტიური საქმე კეთდება, არ მესმის, რატომ ცდილობენ ადამიანები ამის გარშემო ნეგატიური ფონის შექმნას. რაც შეეხება თანხებს, მანამდე მეორე კორპუსის უდიდესი ნაწილი შემოწირულობებით გავაკეთეთ. დამატებით, ფული ბიუჯეტიდან მხოლოდ გამაგრებითი სამუშაოებისთვის მოვიპოვეთ, რაც ჯამში, 1,5 მლნ ლარი გამოვიდა. ახლა პირველ კორპუსსაც კერძო ინიციატივებითა და შემოწირულობებით გავამაგრებთ. გარდა ამისა, წიგნების ტრანსპორტირება სულაც არაა ძვირი სიამოვნება, თანაც მსოფლიოში უამრავი პრეცედენტი არსებობს, როცა ეროვნული ბიბლიოთეკა ორ ქალაქშია განფენილი, მაგალითად, გერმანიაში. ამიტომ დავამკვიდრებთ პრაქტიკას, რომ კვირაში ერთხელ, მოთხოვნილ წიგნებს სპეციალურად ჩამოვიტანთ ქუთაისიდან“.**

„ვერსიისთვის“ დამატებითი დეტალები ბიბლიოთეკის ფონდების ხელმძღვანელმა **ლევან თაქთაქიშვილმა** დააზუსტა, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში 1998 წლიდან მუშაობს. იგი იმ რიცხვებსა და სტატისტიკაზე საუბრობს, რომლის მიხედვით, თბილისიდან ქუთაისში ერთ-ერთი ყველაზე არაპოპულარული წიგნების სეგმენტი გადის და იმ სქემას ხსნის, რომლის მიხედვით წიგნების ნაწილი ქუთაისში დარჩება, ნაწილი კი დედაქალაქში დაბრუნდება: **„თბილისიდან ქუთაისში 980 000 წიგნი გადადის. ეს ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი ყველაზე არააქტიური სეგმენტია, რის დადგენაშიც ჩვენი ფორმატულ-ინვენტარული განლაგება დაგვეხმარა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამ ფონდში საინტერესო ლიტერატურა არ არის. ქუთაისში გადატანილი ამ ფონდიდან, მკითხველის მოთხოვნის მიხედვით და ჩვენი თანამშრომლების დახმარებით, გამოვყოფთ წიგნებს, რომლებიც თბილისში აღარ დაბრუნდება და 10-15 წლის მერე, ქუთაისში დარჩება მხოლოდ ის ლიტერატურა, რომელსაც არავინ გამოიტანს. ეს ყველაფერი კი აღირიცხება. ნებისმიერი წიგნი, რომელსაც მკითხველი გამოიწერს, არამხოლოდ ქუთაისიდან ჩამოვა, არამედ თბილისში დარჩება კიდეც. თუმცა ისიც დათვლილი გვაქვს, რომ ამ ფონდიდან, წელიწადში, 1000 წიგნზე მეტი არ გამოწერილა. ასე რომ, მთელი წლის განმავლობაში, 1000 წიგნის ჩამოტანა ქუთაისიდან განსაკუთრებულ ხარჯებთან ნამდვილად არაა დაკავშირებული“.**

ვერსიანიუსი

ზვავსაშიშროების გამო გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობა აკრძალულია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრატსრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს ყველა მაღალმთიან რეგიონში ძლიერი თოვა იყო.

გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე, გომბორის უხელტეხილზე და ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზაზე. რის შედეგადაც, ავტოტრანსპორტის მოძრაობა ყველა ამ მიმართულებაზე შენარჩუნებულია.

მოძრაობა აკრძალულია მხოლოდ მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის გუდაური-კობის მონაკვეთზე, სადაც ინტენსიური თოვის გამო ზვავსაშიშროებაა. აღნიშნულ მონაკვეთზე აკრძალულია როგორც მოძრაობა, ასევე გაწმენდითი სამუშაოების წარმოება. ზვავსაშიშროების მოხსნასთან ერთად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, დაიწყებს გაწმენდით სამუშაოებს, რათა უმოკლეს დროში აღდგეს ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

ამავე გზის მლეთა-გუდაურის და კობი-ლარსის მონაკვეთებზე, თოვლისა და ლიპყინულის გამო, აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა მლეთა-გუდაურის (ფოსტა) მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო კობი-ლარსის მონაკვეთზე თავისუფალია.

„პია“

სამი მიზეზი, რის გამოც რუსეთ-თურქეთის ომი არ იქნება

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

იქნება თუ არა კიდევ ერთი ომი რუსეთსა და თურქეთს შორის, ვის მხარეს უნდა იყოს საქართველო, როგორ შეგვეხება ეს კონფლიქტი... ეს ის კითხვებია, რასაც ამ დღეებში ყველაზე ხშირად ვისმენთ. ჩნდება მოლოდინი, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბვის შემთხვევაში, ან პოლიგონად ვიქცევით, ან რუსი ტურისტების რიცხვის გაზრდითა და რუსულ ბაზარზე თურქული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩანაცვლებით ვიხეირებთ. ატლანტიკური საბჭოს წევრი, ყოფილი ვიცე-პოლკოვნიკი, სახმელეთო ჯარების სარდალი, ისტორიკოსი და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ზურაბ აბლაძე „ვერსიასთან“ ერთად არკვევს, არის თუ არა მსოფლიო რუსეთ-თურქეთის ომის რეალურ ზღვარზე და გადაიხედება თუ არა ერთი თვითმფრინავის ჩამოგდებით მსოფლიოს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგი.

რა ინტერესები აქვს თურქეთს აჭარაში და რა შემთხვევაში იხეირებს საქართველო რუსულ-თურქული კონფლიქტით

— რუსეთსა და თურქეთს შორის ომი არ იქნება! ეს ძალიან მარტივად შემიძლია დავასაბუთო. პირველი მიზეზი ისაა, რომ მათ სახმელეთო საზღვარი არ გააჩნიათ. მეორე — თეორიულადაც რომ დავუშვათ, რომ საქართველომ მისცეს კორიდორი ან დაგვიპყრეს, როგორც პროფესიონალი სამხედრო გეტყვით, რუსეთს არც გააჩნია რესურსი, ამხელა ოპერაცია, თუნდაც ლოგისტიკური თვალსაზრისით, აწარმოოს. მესამე და უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ თურქეთი ნატო-ს წევრია და იმის ილუზია არავის უნდა ჰქონდეს, თითქოს, რუსეთი მასზე თავდასხმას გაბედავს. ასეთი ინციდენტები, როგორც წესი, კატალიზატორის როლს ასრულებს და მათ ომი არ მოჰყვება ხოლმე.

— ამ შემთხვევაში, რისი კატალიზატორი შეიძლება გახდეს რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების ინციდენტი მსოფლიოსა და საქართველოსთვის?

— ვფიქრობ, ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებითა და ეკონომიკური სანქციებით შემოიფარგლება, ისიც ზომიერად — რუსეთს იმის ფუფუნება არ აქვს, თურქეთს ეკონომიკური სანქციები სრულად დაუწესოს. ეს მხოლოდ იმ პროდუქტსა და ნაწარმს შეეხება, რომლის ჩანაცვლებასაც იოლად შეძლებს. რუსეთის ინდუსტრია, მეტწილად, დამოკიდებულია თურქეთიდან შემოტანილ მარაგ ნაწილებზე. ამით თავად რუსეთი მიიღებს დიდ ეკონომიკურ დარტყმას, რადგან სხვადასხვა სათადარიგო ნაწილებს აზერბაიჯანიდან ვერ შემოიტანს — ამხელა ინდუსტრია აზერბაიჯანს უბრალოდ, არ აქვს. მოსალოდნელია, რუსეთში არსებული თურქული ბიზნესები შევიწროვდეს, როგორც სჩვევიათ. კონფლიქტი შეეხება სავიზო მიმოსვლას და შემცირდება ტურისტების რაოდენობა თურქეთში.

— ნებისმიერ შემთხვევაში, ეკონომიკურად, თურქეთიც ზარალდება და რუსეთიც.

— რა თქმა უნდა, ასეა, თუმცა რუსეთის ეკონომიკა უკვე ევროპის საშუალო დონის ქვეყნის ეკონომიკას უტოლდება და მას დიდი საერთაშორისო სანქციებიც ადევს. ამიტომ შეუძლებელია, რუსეთმა მკვეთრი ნაბიჯები გადადგას. ეს იქნება ერთჯერადი ინციდენტები გულის მოსაფხანად და განცხადებები შიდა მოხმარებისთვის, რათა პუტინის უძლეველობის მითი შენარჩუნდეს. ასევე, შესაძლებელია, შავი ზღვის აკვატორიაში გარკვეული წვრთნები დაიწყოს, ინციდენტები მოხდეს თურქულ გემთან, მაგრამ ამაზე შორს რუსეთი ვერ წავა. დღეს რუსეთი იმ დონემდე მივიდა, ნავთობისა და გაზის ყველა მწარმოებელს მოგებას უკვე მთლიანად ართმევს, მაგრამ ბიუჯეტში მაინც დეფიციტი აქვს, სავალუტო რეზერვების ხარჯვაზეც გადავიდა. ნავთობის ფასი, კიდევ უფრო თუ არ დაეცა, უახლოეს მომავალში არც აიწევს. ეს რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული: ჩინეთი აღარ მოიხმარს იმდენ ნავთობს, რამდენიც სჭირდებოდა, რადგან მისი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი განახევრებულია. ეს პირდაპირ ურტყამს ნავთობის ფასს. თანაც, დეკემბრის ბოლოს თუ არა, მომავალი წლის დასაწყისში ირანს სანქციებს მოუხსნიან და იგი ნავთობის მოპოვების გაზრდას გეგმავს. ამერიკის სტრატეგიული რეზერვი კი, რომელიც თითქმის 700 მლნ ბარელია, ალბათ, მალე გადაივსება და ვვარაუდობ, რომ მალე, ნავთობის ფასი 40 დოლარსაც ჩამოცდება. ასე რომ, ამ პირობებში, რუსეთი თურქეთთან ამ ძვირადღირებულ ომს პრაგმატულადაც არ დაიწყებს. ეს ჩვენც უნდა გვიხაროდეს, თურქეთი ჩვენი ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია და როგორ წარმოგიდგენიათ, ის რომ ომში ჩაებმევა, ჩვენთვის ან მას ეცლება, ან რუსეთს? ექსპორტი შემცირდება და ეს პირდაპირ დაარტყამს ჩვენს ეკონომიკას.

— თუმცა გვაქვს შანსი, ამ ვითარებაში მოგებაც ვნახოთ. შეაძლებელია თუ არა, რუსეთში სოფლის მეურნეობის ექსპორტის გაზრდა და რუსი ტურისტების მასობრივი შემოსვლა საქართველოში, ეგვიპტისა და თურქეთის ნაცვლად?

— საქართველოს ამ ვითარებიდან ბენეფიტების მიღება ნამდვილად შეუძლია. რუსეთიდან თურქეთში, ყოველწლიურად, 4 მლნ ტურისტი ჩადიოდა და დიდი ალბათობით, ალბათ, ჩვენთან ტურისტების ნაკადი გაიზრდება. შესაძლოა, სოფლის მეურნეობის პროდუქტიც უფრო დიდი რაოდენობით შევიტანოთ და მოკლევადიან პერსპექტივაში, მოგებაც ვნახოთ. ოღონდ თუ ეს ვითარება დიდხანს გაგრძელდა, სენდვიჩში ჩადებული ყველის როლში აღმოვჩნდებით, რომელიც შუაში გაიჭყლიტება. ჩვენს ქვეყანას ახლა ძალიან სჭირდება დიდი ინვესტიციები, ამ გეოპოლიტიკურ ვითარებაში კი, ინვესტორები საქართველოში ფულის ჩადებისგან თავს შეიკავებენ. ერთი ნამდვილად კარგია — როცა თურქულ ბიზნესს რუსეთში შეავიწროებენ, შესაძლოა, თურქულმა ინვესტიციებმა საქართველოში გადმოინაცვლოს. ასევე, გაიზარდოს ჩვენი სატრანზიტო პოტენციალი. თუმცა, რა თქმა უნდა, განსაზღვრული უნდა გვქონდეს, რას ვაკეთებთ და სირაქლემას პოზაში არ ვიყოთ.

— ხშირად საკითხს ასე სვამენ: ვის მხარეს უნდა იყოს საქართველო-თურქეთის თუ რუსეთის. რატომ უნდა ვიყოთ საერთოდ მხარე ამ ვითარებაში და რა იქნება ყველაზე სწორი პოზიცია ჩვენი ქვეყნისთვის?

— პირველ რიგში, თავი მკვეთრი განცხადებებისგან უნდა შევიკავოთ. ბევრი არაფერი შეგვიძლია, მაგრამ იმას მაინც უნდა ვეცადოთ, რადიკალურმა ისლამმა ჩვენთან ფეხი არ მოიკიდოს, რაც რეალური საფრთხეა. პირველად ხდება, რომ ეთნიკური ქართველები ისლამური სამყაროს წევრები გახდნენ, რაც საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეა მიბმული. სახელმწიფომ მეტი უნდა იმუშაოს მაღალმთიან აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში.

— თურქეთის ინტერესებზე აჭარაში ისედაც დიდი ხანია საუბრობენ. რა არის მისი ინტერესები რეალურად ამ რეგიონში და რას ნიშნავს თურქეთის პრემიერის განცხადება, რომ ბათუმსა და სხვა ქალაქებს, რომელიც ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, დაიბრუნებენ?

— იმით დავიწყოთ, რომ თურქეთი ნატო-ს წევრი ქვეყანაა და არ მახსენდება, ამ ქვეყნებს ვინმეს ოკუპაცია და ანექსია მოენდომებინოთ. ისიც ფაქტია, რომ აჭარაში რადიკალური ისლამი ძლიერდება და სხვა მთავარი კითხვაა დასასმელი — ამას ვინ აკეთებს კი არა, ჩვენ რას არ ვაკეთებთ, რომ ხელი შევუშალოთ? რაც შეეხება უშუალოდ თურქეთის ინტერესებს — საერთოდ, ერდოღანი და მისი პარტია ე.წ. პანთურქიზმით გამოირჩევა. რაღაც ინტერესი თურქეთს ნამდვილად აქვს, მაგრამ არა მგონია, საუბარი აჭარის ფიზიკურად მიერთებაზე იყოს. ეს თამაშია, სადაც ყველას თავისი მიზანი აქვს და ჩვენც ჩვენი მიზანი უნდა გვქონდეს. იყო პარტნიორი, არ ნიშნავს, მის მიზნებს, რომელიც შენსას ეწინააღმდეგება, ხელი არ შეუშალო. ხშირად გვესმის, რომ აჭარაში თურქული ბიზნესია განვითარებული, ხალხი გათურქებულია და ა.შ. არ დაგვავიწყდეს, რომ თურქული ბიზნესი ჩვენს ეკონომიკაზეც დიდად მოქმედებს. პირველ რიგში, თურქეთს აწყობს, საქართველოში არეულობა არ მოხდეს. თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო ერთი დერეფანია და რა უფრო მნიშვნელოვანია თურქეთისთვის — აჭარაში ისლამისტების გაძლიერება, თუ ამ ენერგოდერეფნის განვითარება? თურქეთს ევროკავშირში უნდა შესვლა, ევროპაში უვიზო რეჟიმი მიიღო, ის გლობალური მოთამაშეა და ჩვენთან ურთიერთობა რომ გაიფუჭოს, აზერბაიჯანთან იზოლაციაში აღმოჩნდება. აღარც ხიდი ექნება და ენერგეტიკული ჰაბის ფუნქციასაც დაკარგავს. როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფრის საპირწონედ ბათუმს დააყენებს?!

— ამ კონფლიქტის ფონზე, ნატო-ს გაფართოება და ალიანსში მონტენეგროს შესვლა რას ნიშნავს და აქვს თუ არა პერსპექტივა საქართველოსაც?

— გასაგებია, რომ ხისტი ნაბიჯების გადადგმა და რუსეთის გაღიზიანება ნატოს არ სურს. თუმცა ნატოსთვის, ისლამური ექსტრემიზმის გაძლიერების პირობებში, მეგობარ ქვეყანათა წრის გაფართოება მნიშვნელოვანია. ამიტომ, ნატოში მონტენეგროს შესვლა ჩვენთვისაც იმედისმომცემია, რადგან იგი ჩვენს წინ ბოლოა, ვისაც ალიანსში გაწევრიანება სურს. მაპ-ზე „ჩაციკლული“ ადამიანებისთვის ისიც უნდა ავხსნათ, რომ ეს მაპ-ი ნატოში გაწევრიანებისთვის საჭირო ტექნიკური საკითხებია, რაზეც უკვე წლებია ვმუშაობთ. ამიტომ დარწმუნებული ვარ, მონტენეგროს შემდეგ საქართველო იქნება. ნატოცა და ევროკავშირიც დაფიქრდებიან, რაც შეიძლება შორს გაიტანონ მეგობართა სარტყელი. თანაც ნატოს იმის უფლება აქვს, თავისივე რეგულაციები როგორც უნდა, ისე შეცვალოს და თუნდაც მაპ-ის გარეშე მიგვიღოს.

— მაშინ რას ნიშნავდა საფრანგეთის პრეზიდენტის, ოლანდის განცხადება, რომ ნატო-ს საზღვრები არ ფართოვდება, ან რას უნდა ველოდეთ ვარშავის მოახლოებულ სამიტზე?

— კრიტიკული პერიოდი რუსეთისთვის, დიდი ალბათობით, 2017-2018 წლებში დადგება და სწორედ არ დროს გამოუჩნდება საქართველოს ისტორიული ფანჯარა, ალიანსში შევიდეს. როგორც ჩანს, დასავლეთიც ამას ელოდება, რომ რუსეთს ნატო-ს გაფართოებისთვის სამაგიეროს გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდეს. რაც შეეხება ოლანდის განცხადებას, ეს არ არის ნატო-ს პოლიტიკა. გარდა ამისა, პოლიტიკა დინამიკური პროცესია და შესაძლოა, დღეს უკვე ოლანდმაც სხვა განცხადება გააკეთოს. ვარშავის სამიტს კი, ვფიქრობ, ისეთივე მნიშვნელობა ექნება, რაც ბუქარესტის სამიტს ჰქონდა. მაპ-ს ერთმნიშვნელოვნად ვერ მივიღებთ, თუმცა რაღაც ფორმით, ჩვენი ურთიერთობა გაღრმავდება და თუნდაც კიდევ ერთი საწვრთნელი ბაზა გაიხსნება საქართველოში. ხოლო თუ მაპ-ი არ იქნება, სხვა რამ რუსეთს ისე არ გააღიზიანებს, სადამსჯელო ნაბიჯები გადადგას.

— და თუ ეს ისტორიული ფანჯარა არ გაიღო, მაშინ რა ხდება — რას ვაკეთებთ იმ შემთხვევაში, თუ არც მაპ-ი იქნება და არც „მაპ-ზე უკეთესი“?

— ალტერნატივა არ არსებობს! უნდა ვაკაკუნოთ დასავლეთის კარზე, რომელიც ადრე თუ გვიან, ჩვენთვისაც გაიღება. ერთიცაა — ჩვენ კარი გავუღეთ რუსულ პროპაგანდას, რომელსაც სათანადოდ ვერ ვებრძვით. მათი მუშაობის შედეგია ის ფორმულები, რაც დღეს ბევრმა აიტაცა, მაგალითად, ევროპასთან ასოცირდება ლგბტ პირები. ჩვენ ამ საინფორაციო-პროპაგანდისტულ ომს ვაგებთ.

— როგორც ჩანს, ევროპაც აგებს საქართველოში საინფორმაციო ომს რუსეთთან.

— ამერიკამ და ევროკავშირმა მიიღეს გადაწყვეტილება, რუსეთის პროპაგანდის წინააღმდეგ დაფინანსება გაზარდონ. ეს ბიუროკრატიული მექანიზმია, რომელიც ნელა მოქმედებს, მაგრამ ამოქმედების გარეშე მისი შეჩერებაც შეუძლებელია. ევროპა მიხვდა, რომ რუსულ პროპაგანდას უნდა დაუპირისპირდეს და ქმედით ნაბიჯებს დგამს. რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობა ახლა დათვისა და პირანიების ბრძოლას ჰგავს. თავიდან დათვი პირანიებს იშორებს და ვერაფერს გრძნობს, მაგრამ ნელ-ნელა სისხლისგან იცლება და უძლურდება. ამ ბრძოლაში რუსეთმაც და დასავლეთმაც უკვე საკმაოდ შეტოპეს, მაგრამ ე.წ. კარგი და ცუდი პოლიციელის სქემა მაინც მოქმედებს. ჩავთვალოთ, რომ საფრანგეთი და გერმანია რუსეთისთვის „კარგი პოლიციელის“ როლს ასრულებენ და უკანდასახევ გზას იტოვებენ, რადგან ევროპა რუსეთს სრულ იზოლაციაში ვერ მოაქცევს.

— თუმცა ჩვენ კიდევ ერთი საფრთხის წინაშე ვართ — საქართველოში განწყობა ევროკავშირიდან ევრაზიულ კავშირამდე სწრაფად იცვლება. როგორ ფიქრობთ, რუსეთის გაკოტრება და ევროპაში ისტორიული ფანჯრის გაღება დაასწრებს თუ ჩვენს მოსახლეობაში ევროსტრუქტურების მიმართ ნიჰილიზმის გაღვივება?

— ეს რომ არ მოხდეს, მოსახლეობასთან სწორი სტრატეგიული კომუნიკაცია უნდა ავაწყოთ. არ ვიცი, ეს მიზანმიმართულად ხდება თუ არა, მაგრამ დიდი ხანია, დასავლური ღირებულებების დისკრედიტება მიდის. ხელისუფლება ყველა მტკივნეულ ცვლილებაზე ამბობს, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ასოცირების ხელშეკრულება მოითხოვსო. გლეხს, რომელსაც „06“ ჰყავს და რაიონში ცხოვრობს, ვეუბნებით, შემომაქვს სავალდებულო, ფასიანი ტექნიკური დათვალიერება და მანქანა უნდა გააჩერო, რადგან ამას ასოცირების ხელშეკრულება ითხოვსო. ამის ნაცვლად, ადამიანს უნდა ავუხსნათ, რომ ჰყავს ავარიული მანქანა, რომელიც აბინძურებს გარემოს და საფრთხეს უქმნის თავად მძღოლის სიცოცხლეს. ამ დროს, სწორი სტრატეგიული კომუნიკაციით, ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას მისივე პოლიტიკის მხარდამჭერად უნდა რაზმავდეს. თუ ამ საინფორმაციო ომის მოგება გვინდა, პირველ რიგში, იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რას და როგორ ვაწვდით ჩვენს მოსახლეობას.

ვერსიანიუსი

„ისლამურმა სახელმწიფომ“ რუს ჯაშუშს თავი მოჰკვეთა

ტელეკომპანია NBC-ის ცნობით, ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ ვიდეორგოლს ავრცელებს, სადაც ნაჩვენებია, როგორ სჯიან სიკვდილით რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ჯაშუშს.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, ვიდეოში ჩანს, რომ წითელ კომბინიზონში ჩაცმული მამაკაცი დანით შეიარაღებული მამაკაცის წინ არის მუხლებზე დაჩოქილი და აცხადებს რუსულად, რომ ის 2014 წლის ზაფხულიდან რუსეთის ფედერალური სამსახურის მიერ იყო „დავერბოვკებული“. რუსეთის ფედერალურმა სამსახურმა იგი „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეაგზავნა. მისი მტკიცებით, ის გროზნოდანაა.

დანით შეიარაღებული მამაკაცი, რომელსაც სახე ნიღბით დაფარული არ აქვს, ვიდეოში ამბობს, რას ნიშნავს იყო რუსი, რის შემდეგაც მუხლებზე დაჩოქილს თავს ჰკვეთს. ვიდეო დასათაურებულია წარწერით: **„თქვენ იქნებით იმედგაცრუებულნი და დამცირებულები, რუსებო“.**

რუსეთის ფედერალურ სამსახურში აცხადებენ, რომ აღნიშნულ ვიდეოსთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ.

„პია“

დიდი აფერა ანდრეი მაკარევიჩის სახელით

რატომ გადაიდო როკ-მომღერლის კონცერტი და რატომ არ აბრუნებს Altervision Group გაყიდული ბილეთების თანხას თებერვლამდე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„სამწუხაროდ, სხვადასხვა ქალაქიდან გართულებული ფრენების გამო, 2015 წლის 2 დეკემბერს, ანდრეი მაკარევიჩის ბენდის ნაწილის თბილისში დროულად ჩამოყვანა ვერ ხერხდება. შეიქმნა რისკი, რომ „ლაივი“ არ შედგეს, ან არასრულყოფილი იყოს. შესაბამისად, იძულებულები ვართ, მაკარევიჩის მენეჯერებთან შეთანხმებით, შოუ 2016 წლის 9 მარტისთვის გადავდოთ. ჩვენ 3 დეკემბრამდე ვწყვეტთ ბილეთების გაყიდვას, ხოლო 3 დეკემბრიდან, თბილისის საკონცერტო დარბაზის სალაროებსა და ონლაინ-რეჟიმში, tkt.ge-ზე, ბილეთების გაყიდვა ჩვეულებრივ განახლდება და ფასი არ შეიცვლება“, — ასე მიმართა ანდრეი მაკარევიჩის კონცერტის ორგანიზატორმა Altervision Group-მა მსმენელებს.

რატომ გადაიდო ლეგენდარული რუსი როკ-ვარსკვლავის თბილისური კონცერტი? იყო თუ არა სასტუმრო წინასწარ დაჯავშნილი და რატომ არ იყო აღნიშნული თბილისური კონცერტი მაკარევიჩის კონცერტების აფიშაზე?

2014 წელს, ანდრეი მაკარევიჩის ახალმა ჰიტმა, რომელიც რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირებას მიეძღვნა, სოციალური ქსელი „ააფეთქა“. ლეგენდარულმა როკ-ვარსკვლავმა ჯერ რუსეთის პოლიტიკა დაგმო, მერე კი დონბასსა და სლავიანსკში ჩავიდა, სადაც ლტოლვილებისთვის კონცერტი გამართა. ამის გამო, რუსულმა პრესამ და პუტინის პოლიტიკის მხარდამჭერმა მისმა კოლეგებმა, მაკარევიჩს „ფაშისტი“ და ქვეყნის მტერიც კი უწოდეს, რასაც Машина Времени-ს სოლისტის ახალი ჰიტი — Моя страна сошла с ума მოჰყვა. ანდრეი მაკარევიჩს ქართველი მსმენელის სიყვარული საბჭოთა კავშირის დროსაც არ აკლდა, მაგრამ ახლა, მკვეთრად გამოხატული ანტიპუტინური დამოკიდებულების გამო, ის მეტად შეუყვარდათ. მეტიც, უკრაინაში დაძაბული ვითარების დროს, მაკარევიჩი დაუფარავად მიმართავდა პუტინის ხელისუფლებას: **„უკრაინასთან ომი მოგინდათ? ისევე, როგორც ეს აფხაზეთში ჩაიდინეთ? არ გამოგივათ! ბიჭები მაიდანზე უკვე გამოიწვრთნენ და იციან, რისთვისაც იბრძვიან – თავისი სამშობლოსთვის, თავისუფლებისთვის! ჩვენ კი რისთვის ვიბრძვით? იანუკოვიჩისთვის? რატომ დამალეთ იგი რუსეთში? პატიოსანი ადამიანი ქურდსა და დამნაშავეს არ შეიფარებს. რატომ ირცხვენთ თავს კაცობრიობის წინაშე? ვიცი, რომ თქვენ ეს არ გადარდებთ, მაგრამ – მაინც“...**

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ანდრეი მაკარევიჩს თბილისში ყოველთვის მოუთმენლად ელიან და მზად არიან, მის კონცერტზე დასასწრები ბილეთებიც წინასწარ შეიძინონ. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც, მსმენელთა დიდმა ნაწილმა თადარიგი დროულად დაიჭირა და შედეგად, 2 დეკემბრის კონცერტის ბილეთების ნახევარი გაიყიდა კიდეც. გასაგებია, რომ რუსეთ-თურქეთსა და თუნდაც რუსეთ-სირიას შორის დაძაბულობის ფონზე, შესაძლოა, ფრენების განრიგი შეიცვალა, რაც წინასწარ დაგეგმილ და უკვე შეთანხმებულ კონცერტზეც აისახა, მაგრამ საინტერესოა, რატომ არ დააბრუნეს კონცერტის ორგანიზატორებმა უკვე გაყიდული ბილეთები ახლავე? ლოგიკური ეჭვი ჩნდება, რომ Altervision Group-ის წარმომადგენლებმა, 2 დეკემბრის კონცერტისთვის გაყიდული ბილეთების სახით, მსმენელებისგან უპროცენტო კრედიტი აიღეს, რომელსაც 2016 წლის 25 თებერვლიდან დააბრუნებენ, თუ რომელიმე მათგანი 9 მარტის კონცერტზე წასვლას გადაიფიქრებს. ანდრეი მაკარევიჩის კონცერტზე დასასწრები ბილეთები, ადგილების მიხედვით, 20-75 ლარი ღირდა, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ ამ ეტაპზე, ბილეთების ნახევარი გაყიდულია, კონცერტი თბილისის საკონცერტო დარბაზში უნდა გამართულიყო, სადაც 2 150 ადამიანი ეტევა. უხეშად რომ დავთვალოთ, გამოდის, კომპანიამ მინიმუმ 43 ათასი ლარი, მხოლოდ ბილეთების რეალიზაციით მიიღო, უფრო ზუსტად, მსმენელებისგან ორი თვით, უპროცენტოდ ისესხა. ეჭვს იწვევს კიდევ ერთი ფაქტორი — როგორ შეიძლება, 2 დეკემბერს დაგეგმილი კონცერტი, ორი დღით ადრე გააუქმო და რაც მთავარია, სასტუმრო წინასწარ დაჯავშნილი არც კი გქონდეს?

„ვერსიას“ Altervision Group-ის მედიაკოორდინატორი, **სოფო ებრალიძე** ესაუბრება:

— რატომ გადაიდო ანდრეი მაკარევიჩის კონცერტი, მზადების პროცესში, ყველა დეტალი და შესაძლო რისკი ვერ გათვალეთ?

— მთავარი მიზეზი ის არის, რომ ძალიან დიდი რისკი არსებობდა, რათა კონცერტი არ გამართულიყო. მაკარევიჩის მენეჯმენტის წარმომადგენლებმა, რამდენიმე დღით ადრე გვითხრეს, რომ შესაძლოა, ბენდის ნაწილს კონცერტისთვის ვერ ჩამოესწრო. შესაბამისად, კონცერტი გადავდეთ.

— ფრენების განრიგის შეცვლა რუსეთსა და თურქეთს შორის, ასევე რუსეთსა და სირიას შორის არსებულ პრობლემას ხომ არ უკავშირდება?

— პირდაპირი კავშირი არ არის, თუმცა რა გარემოშიც დღეს გვიწევს ცხოვრება, შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოს. გამორიცხული არ არის, დაგეგმილ რეისს დაეგვიანა, რასაც გაცილებით რთული შედეგი მოჰყვებოდა. წარმოიდგინეთ, დარბაზში მსმენელია შეკრებილი, კონცერტი კი ჩაშლის პირასაა, ეს უფრო რთულად აღსაქმელი იქნებოდა, ამიტომ ანდრეი მაკარევიჩის კონცერტი 2016 წლის 9 მარტამდე გადავდეთ.

— ამ ეტაპზე რამდენი ბილეთია გაყიდული?

— კონცერტი თბილისის საკონცერტო დარბაზში უნდა გამართულიყო, 9 მარტსაც ამ დარბაზში გაიმართება, სადაც 2 150 ადამიანი ეტევა. ამჟამად, ბილეთების ნახევარზე მეტი უკვე გაყიდულია.

— სოფო, ვინც უკვე ბილეთები შეიძინა, სთავაზობთ, რომ გარკვეულ ვადებში განაახლონ და ამისთვის თითო გაყიდულ ბილეთზე, თითო ბილეთს ჩუქნით. ეს ხომ კომერციულად წამგებიანია თქვენთვის?

— ამ შემთხვევაში, კომპანიისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენი მსმენელების ლოიალობა. განსხვავებული ტიპის მსმენელი გვყავს, მაგრამ საკმაოდ ლოალურები არიან, რადგან ჩვენს მიერ ორგანიზებულ, თითქმის ყველა კონცერტზე დადიან. მათი დამოკიდებულება გაცილებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე რისკი, რომ შესაძლოა, კომერციულად წამგებიანი ნაბიჯი გადავდგით. თუმცა, ნორმალურად მიიღეს მსმენელებმა ჩვენი განცხადება, რომელსაც მათი აგრესია არ მოჰყოლია.

— არავინ იცის, რა რეალობის წინაშე დადგება მსოფლიო 2016 წლის 9 მარტს...

— იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. თუმცა ვითარების დაძაბვის შემთხვევაში, ნებისმიერი კონცერტი მეორეხარისხოვანია. რაც შეეხება თარიღს, ეს ანდრეი მაკარევიჩის მენეჯმენტთან შევათანხმეთ, რადგან როკ-ვარსკვლავის გრაფიკი უკვე გაწერილია და 2015 წლის 2 დეკემბრის შემდეგ, თავისუფალი დღე, რომელიც ორივე მხარეს — მათაც და ჩვენც გვაწყობდა, 2016 წლის 9 მარტი იყო.

— კონკრეტულად, რომელ სასტუმროში უნდა გაჩერებულიყო ანდრეი მაკარევიჩი, 2 დეკემბრის კონცერტი რომ არ გადადებულიყო?

— ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. ორგანიზატორებს არ გვაქვს უფლება, გავახმაუროთ ბენდის გასაჩერებელი სასტუმრო არც ბენდის ჩამოსვლამდე და არც ჩამოსვლის შემდეგ. გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც სასტუმრო ღონისძიების პარტნიორია და ეს სტატუსი სხვადასხვა სარეკლამო საშუალებებში ფიქსირდება. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი კონფიდენციალურ ინფორმაციად რჩება თარიღები და ოთახების რაოდენობა.

— რამდენი ადამიანი უნდა ჩამოსულიყო თბილისში, ანუ რამდენ კაცზე უნდა დაგეჯავშნათ სასტუმრო?

— 10 ადამიანი უნდა ჩამოსულიყო.

— დაახლოებით, რა რაოდენობის თანხა იყო გამოყოფილი საორგანიზაციო საკითხების (სასტუმროს დაჯავშნა, კვება, ტრანსპორტირება) მოსაგვარებლად?

— ეს არის კომპანიის შიდა ინფორმაცია და უფლებას ვიტოვებთ, ესეც კონფიდენციალურად შევინახოთ.

— გავრცელებულ განცხადებაში წერთ, რომ თუ რომელიმე მსმენელი 2016 წლის 9 მარტის კონცერტს ვერ დაესწრება, უნდა გაცნობოთ 25 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით და ბილეთში გადახდილ თანხას დაუბრუნებთ. რატომ არ აბრუნებთ თანხას ახლა?

— კონცერტის გადატანასთან დაკავშირებით შექმნილი უხერხულობის გამო, 28 ნოემბერს, მომხმარებელს შევთავაზეთ, ამ თარიღამდე შეძენილ ყოველ ბილეთზე დამატებით, ერთი ბონუს-ბილეთი მიეღოთ. რა თქმა უნდა, მომხმარებელს უფლება აქვს, მოითხოვოს ბილეთის საფასურის დაბრუნება, რისი უზრუნველყოფაც მოხდება 25 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით. გამომდინარე იქიდან, რომ კონცერტი არ ჩაშლილა და მხოლოდ მისი ჩატარების თარიღი გადავწიეთ, ტექნიკურად, ამ თანხების დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ მითითებულ ვადებში. შექმნილი დისკომფორტის გამო, კიდევ ერთხელ ვუხდით ბოდიშს ჩვენს მომხმარებლებს.

მართალია, Altervision Group-ის წარმომადგენელი არ გვისახელებს, კონკრეტულად რომელ სასტუმროში უნდა გაჩერებულიყო ანდრეი მაკარევიჩი, მაგრამ „ვერსიამ“ გაარკვია, რომ ლეგენდარული რუსი როკ-ვარსკვლავისთვის, „თბილისი ჰოტელ რუმსი“ შეარჩიეს. ამ სასტუმროში, ერთი, სტანდარტული ნომერი 169 აშშ დოლარი ღირს, რასაც დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) სახით, 18% ემატება და ჯამში, 199 აშშ დოლარი და 42 ცენტი გამოდის. ამავე სასტუმროს მაღალი კლასის ნომერი 219 აშშ დოლარი ჯდება, ხოლო დღგ-ს ჩათვლით, 258 აშშ დოლარი და 42 ცენტი. „ვერსიამ“ გაარკვია, რომ სასტუმროს ნომრის ფასში მხოლოდ საუზმე შედის.

„თბილისი ჰოტელ რუმსის“ წარმომადგენელმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ნებისმიერი კონცერტის ორგანიზატორებთან მოლაპარაკება კომერციული საიდუმლოა. შესაბამისად, დაჯავშნეს თუ არა ანდრეი მაკარევიჩის კონცერტის ორგანიზატორებმა სასტუმრო წინასწარ ან რა ტიპის დისქაუნთი შესთავაზა სასტუმრომ ორგანიზატორებს, ამ ეტაპზე, უცნობია. ამ დეტალებს არც Altervision Group-ის მედია-კოორდინატორი გვიმხელს და ამას ინფორმაციის კონფიდენციალობით ხსნის.

ჩავთვალოთ, რომ ანდრეი მაკარევიჩისა და მისი ბენდის წევრებისთვის „თბილისი ჰოტელ რუმსში“ მაღალი კლასის ნომრებს აიღებდნენ, რაც 258 აშშ დოლარი და 42 ცენტი ღირს. დავუშვათ, რომ ორგანიზატორები ამ ტიპის ნომრებში მხოლოდ 250 აშშ დოლარს გადაიხდიდნენ, ახლა ეს 250 დოლარი 10 ადამიანზე გავამრავლოთ და გამოდის, ჩვენი უხეში გათვლით, ორგანიზატორებს სასტუმროს ხარჯი 2 500 აშშ დოლარი დაუჯდებოდათ. ცხადია, ამას უნდა დავუმატოთ მომღერლისა და მისი ბენდის წევრების ტრანსპორტირების, საკონცერტო დარბაზის ქირის, თბილისში პრესკონფერენციის (თუ ასეთი იგეგმებოდა და სავარაუდოდ, დაიგეგმებოდა კიდეც) ხარჯები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საორგანიზაციო ხარჯები სავარაუდოდ, 20 000-დან 30 000 აშშ დოლარამდე მერყეობს და ცხადია, ანდრეი მაკარევიჩის კონცერტის ორგანიზატორებს, ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, ახლა სწორედ ამ ხარჯების დასაფარად სჭირდებათ. ამიტომაც წავიდნენ მათთვის კომერციულად წამგებიან ნაბიჯზე და მსმენელებს თითო გაყიდულ ბილეთზე, თითო ბილეთს ჩუქნიან. რაც მთავარია, „ვერსიამ“ ანდრეი მაკარევიჩის ოფიციალურ გვერდზე მომღერლის საკონცერტო ტურნეს გრაფიკი გადაამოწმა, სადაც 2015 წლის 2 დეკემბრის კონცერტის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ მოიპოვება. სამაგიეროდ, მითითებულია, რომ ანდრეი მაკარევიჩის კონცერტი თბილისში 2016 წლის 9 მარტს გაიმართება.

ამ ფონზე, ჩნდება კითხვა, ორგანიზატორებმა დიდი აფერა ხომ არ გაათამაშეს, მაკარევიჩის სახელით? ცხადია, ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს ჯერჯერობით ვერავისგან მივიღებთ და ისღა დაგვრჩენია, დასკვნები თავად გავაკეთოთ. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი კითხვა როდია, რომელიც შესაძლოა მაკარევიჩის კონცერტის გადადებასთან დაკავშირებით გაგვიჩნდეს — მაკარევიჩის პოლიტიკური პოზიციისა და ანტიპუტინური განწყობის შესახებ, უკვე მოგახსენეთ. და რადგან ამ და სხვა ქვეყნებშიც, ვარსკვლავების ჩამოყვანაც კი არაა შორს პოლიტიკისგან, კიდევ ერთი ეჭვი ჩნდება — „პუტინის მოძულე“ მაკარევიჩის კონცერტის გადადებასაც პოლიტიკური სარჩული ხომ არ აქვს სწორედ იმ ფონზე, რომ საქართველო, ოფიციალურ კრემლთან ურთიერთობის ახალ რელსებზეა გადასული.

ვერსიანიუსი

მიხეილ სააკაშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ დასკვნა პრეზიდენტს გადაეგზავნა

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პოზიციის დასაფიქსირებლად მიცემული ჰქონდა ერთი თვე, თუმცა, მას პასუხი არ გაუცია.

მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, თუ ის ამ შეთავაზებას დაეთანხმება: **„საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან გადავაგზავნეთ იუსტიციის სამინისტროდან დასკვნა, რომელშიც შემოთავაზებულია, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, აწ უკვე უკრაინის მოქალაქეს, მიხეილ სააკაშვილს შეუწყდეს საქართველოს მოქალაქეობა. საბოლოო გადაწყვეტილება ხელმოწერით უნდა დაადასტუროს საქართველოს პრეზიდენტმა, თუკი ის ჩვენს მიერ მოქალაქეობის შეწყვეტის დასკვნას ეთანხმება. ჩვენ გვქონდა ოდესის გუბერნატორისთვის მიცემული დაახლოებით ერთი თვე, რასაც ითვალისწინებს ნებისმიერ სხვა მოქალაქის შემთხვევაში პროცედურა, რომ მას თავისი პოზიცია გამოეხატა, ეს მას ჩაბარდა 3 ნოემბერს, პასუხი არ გაუცია, ამიტომ პროცედურა დაიძრა“.**

„პია“

შსს-მ 42 შეკვრა ე.წ. ბიო ამოიღო

შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს იგოეთის განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში შემოტანის ბრალდებით, 1977 წელს დაბადებული ემზარ ა. სოფელ აღაიანთან დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 42 შეკვრად დაფასოებული ე.წ. ბიო ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 9,5958 გრ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას შეიცავს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 262-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით).

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1971 წელს დაბადებული ზაალ ჭ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 128 საბრძოლო ვაზნა, „ნაგანის“ ტიპის უნომრო რევოლვერი მაყუჩით, „ტანფოლიოს“ და „პარაბელუმის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, 5 მჭიდი და 2 საცემელი (ნემსა) ამოიღეს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

ზურაბ ადეიშვილს დაუსწრებლად პატიმრობა შეეფარდა

თელავში მდებარე აკურას ღვინის ქარხნის იძულებით ჩამორთმევის საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში, ბრალდებულების პირველი წარდგენის სხდომა გაიმართა.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, მოსამართლე გიორგი არევაძემ სრულად დააკმაყოფილა საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობა და საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილს, დაუსწრებლად, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა, ხოლო ამავე საქმეში წარმოდგენილი მეორე ბრალდებულის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილის მიმართ წინასასამართლო სხდომა 2016 წლის 12 იანვარს ჩანიშნა.

მთავარმა პროკურატურამ, ზურაბ ადეიშვილს და ივანე მერაბიშვილს ბრალი წაუყენა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, 2004 წელს ჩადენილი სისტემური დანაშაულისთვის, მიმართული მოქალაქეებისათვის ქონების იძულებით ჩამოსართმევად, რომელშიც ერთობლივად და წინასწარ შეთანხმებული სქემით მონაწილეობდა იმჟამინდელი სამართალდამცავი ორგანოები და ეროვნული ბანკი, რის შედეგადაც, დაზარალებულებს, გამოძიების ცნობით, თეიმურაზ მეგრელიშვილს და ნოდარ მოდებაძეს იძულებით ჩამოართვეს თელავში მდებარე აკურას ღვინის ქარხანა.

საქმეზე გამოძიებას საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი ანარმოებს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით.

„პია“

საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმა მხოლოდ „რუსთავი 2“-სთვის შეაჩერა?!

ბათო ჯაფარიძე

ორიოდე კვირის წინ, არჩილ კაიკაციშვილმა მითხრა, ყველაზე მეტად იმის მეშინია, რომ მომავალი წლის თებერვალში, მაშინ, როცა გიორგი პაპუაშვილს ვადა ეწურება, ისეთი გადაწყვეტილება არ მიიღოს, ქვეყანა საფრთხის წინაშე დადგესო. სხვათა შორის, კაიკაციშვილი იმასაც ამბობდა, ამის შესახებ ხმამაღლა ვაცხადებ და იმედია, ხელისუფლება გაითვალისწინებს ჩემს მოლოდინსო.
რეალურად კი, ხელისუფლების წარმომადგენლები ფრთხილ ვარაუდებს გამოთქვამდნენ იმის შესახებ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებდა და მისი გადაწყვეტილების შემდეგ, კითხვის ნიშნები არ გაჩნდებოდა. პრინციპში, კითხვის ნიშნები მართლაც აღარ არის — საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც ყველაფერს ახადა ფარდა და დაგვანახა, რომ ის სუბიექტურია და მხოლოდ ერთ კომპანიაზეა მორგებული. გაგიკვირდებათ და, გადაწყვეტილებაშიც სწორედ ასე წერია, რომ ის მხოლოდ ერთ კომპანიაზეა მორგებული.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 13 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება საოქმო ჩანაწერის სახით, რომლის მიხედვითაც შეაჩერა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ მუხლების (198-ე, 271-ე) მოქმედება, რომლებიც ითვალისწინებს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, დროებითი მმართველი ინსტიტუტის მოქმედებას, ქონების იძულებითი მართვის სახით. ერთი შეხედვით ეს ყველაფერი მარტივია, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ზემოაღნიშნული ნორმების შეჩერება მოხდა მხოლოდ ერთი სახეობის სუბიექტის მიმართ. კონკრეტულად კი, იურიდიული პირის მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალების მიმართ. ანუ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სხვა სახის იურიდიული პირების მიმართ დროებითი მმართველის ინსტიტუტის მოქმედება არ შეჩერებულა. უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ „რუსთავი 2“-ს შეუჩერა ეს მუხლები და რატომღაც არ გვახსენდება შემთხვევა, ამ უწყებას, ნორმის მოქმედება შეეჩერებინა მხოლოდ კონკრეტული ჯგუფის სუბიექტის და არა ყველა იმ პირის მიმართ, რომელსაც ეს ნორმა შეიძლებოდა შეხებოდა.

შედეგად, მოლოდინი, რომ წინ მძიმე ზამთარი გველის და საკონსტიტუციო სასამართლოსგან უკვე ყველაფერს უნდა ველოდეთ, რეალურია. აი, რას ამბობენ ამასთან დაკავშირებით პოლიტიკოსები და ადვოკატები.

ზვიად კვაჭანტირაძე: „საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელე „ტელეკომპანია საქართველოს“ სარჩელი, რომელიც ამ ნორმის საერთოდ აკრძალვას ითვალისწინებდა, გათვალისწინებული არ არის. გარკვეულწილად გამონაკლისია მხოლოდ იურიდიულ პირებზე, რომლებიც ელექტრონულ და ბეჭდვურ მედიაში მოღვაწეობენ, რაც მეტად უცნაურია...“

მანანა კობახიძე: „სასამართლო არაობიექტურია, როდესაც ნორმას აჩერებს ერთი სუბიექტის, „რუსთავი 2“-ის სასარგებლოდ. თუ აღნიშნული ნორმის მოქმედება სხვა ბიზნესსუბიექტს შეუქმნის პრობლემას, ეს როგორც ჩანს, სასამართლოს ზრუნვის საგანი არაა. პრაქტიკულად, საკონსტიტუციო სასამართლო გასცდა კანონით დადგენილ ფარგლებს და ერთი სუბიექტის სასარგებლოდ შეაჩერა ნორმის მოქმედება, რაც დაუშვებელია. არ შეიძლება ერთ მოსარჩელეს, ერთ სუბიექტს მთელი კანონმდებლობა გადააყოლო...“

არჩილ კაიკაციშვილი: „არსებული პრაქტიკით, არ გვხდება შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის მოქმედება შეეჩერებინა მხოლოდ კონკრეტული ჯგუფის სუბიექტთან მიმართებაში და არა ზოგადად ყველა იმ პირთან მიმართებაში, რომელსაც ეს ნორმა შეიძლებოდა შეხებოდა. მით უმეტეს, ამ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციური სარჩელით, მოსარჩელე შპს „ტელეკომპანია საქართველო“, ზოგადად მოითხოვდა სადავო ნორმების შეჩერებას და არა მხოლოდ კონკრეტულად მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონულ საშუალებებთან მიმართებაში. მსჯელობას იწვევს სასამართლოს შეხედულება, რომლის მიხედვითაც, სამაუწყებლო კომპანიის ეფექტური მართვა, მისი რეიტინგის ზრდაზე ზრუნვა, საზოგადოების მოთხოვნილებებზე მორგებული პროდუქტის შეთავაზებას მოითხოვს. ამ პირობებში საწარმოს მართვის დროებითი მმართველისათვის გადანდობა, რომლის უპირველეს და უმთავრეს დანიშნულებას, დავის მიმდინარეობის პერიოდში ქონების დაცვა, მისი შენახვა წარმოადგენს, აჩენს მნიშვნელოვან ეჭვებს მართვის ეფექტურობის თვალსაზრისით. გაუგებარია, რის საფუძველზე აცხადებს სასამართლო, რომ საერთო სასამართლოებში, სხვა სამოქალაქო საქმეებზე, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, დროებითი მმართველი დანიშნული არ არის. ამასთან, მნიშვნელოვანია განმარტებები, იმ მსჯელობებზე, არსებობს თუ არა ალბათობა, რომ დღევანდელი მმართველის პირობებშიც, დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, კომპანიის მართვა განხორციელდეს არასწორი მიმართულებით, გახდეს მეტად წამგებიანი, ზიანისმომტანი დაინტერესებული მხარისთვის და რამდენად საფუძვლიანად არის შეფასებული სამართლიანი სასამართლოსა და მართლზომიერების პრინციპებიდან გამომდინარე, აღნიშნული გარემოებები...“

გელა ნიკოლაიშვილი: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერსად გაასაჩივრებ. არადა, გარკვეული მიკერძოების კვალი აქ ჩანს, რადგან დასაბუთება დამაჯერებელი არ არის. მედიაც ისეთივე ორგანიზაციაა, როგორც ნებისმიერი სხვა მომგებიანი ორგანიზაცია. ფაქტობრივად, სხვადასხვა იურიდიულ პირს არათანასწორ პირობებში აყენებს, იმიტომ, რომ ერთი იურიდიული პირის დავის შემთხვევაში, შესაძლოა, დროებითი მმართველის დანიშვნა, მედიის შემთხვევაში კი — არა. ლოგიკურად, ეს იურიდიული პირების სხვადასხვა მდგომარეობაში ჩაყენებას ნიშნავს, ამიტომაც ამ გადაწყვეტილებას გარკვეული მიკერძოებულობის ელფერი დაჰკრავს...“

დავით ასათიანი: „მიმაჩნია, რომ დასაფიქრებელია და ცოტა ნაჩქარევია ამ ნორმის შეჩერება მხოლოდ მედიასაშუალებების მიმართ. მეწარმე სუბიექტების დიფერენციაცია, იურიდიული პირების, გარკვეული პრივილეგიების თუ პირიქით, გარკვეული შეღავათების მინიჭება, არასწორია. თანასწორობის პრინციპი არის სამართალწარმოების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი და ჩემთვის აუხსნელია, თუ მედიასაშუალებებისთვის მიუღებელია დროებითი მმართველი, რატომ არის მისაღები სხვა იურიდიული პირებისთვის. შესაბამისად, ამით თუ ერთი იურიდიული პირის ინტერესი ილახება, არ შეიძლება კანონიერად დავტოვოთ სხვა იურიდიული პირების შემთხვევაში. ამ კუთხით, ცოტა დასაფიქრებელი და საკამათოა ეს გადაწყვეტილება. ეს მხარეთა და ზოგადად, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა თანასწორობის პრინციპს არღვევს...“

თანამედროვე სააკაძის ალსარება „კაზლიატნიკში“

როგორ გაწირა შვილი მომავალმა ქურდმა და რაფომ არ იძია შური მკვლელებზე

პატიმარი №0578

ზოგადად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მეტსახელების მიხედვით, მარტივად შეიძლება შეიქმნა წარმოდგენა ამა თუ იმ ადამიანზე და იმასაც მიხვდე, კონკრეტული პატიმარი რას წარმოადგენს. ოღონდ პატიმარს არ უნდა უთხრა, რომ „კლიჩკა“ აქვს, რადგან თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს — თურმე „კლიჩკა“ ადამიანის ოთხფეხა მეგობრებს, ძაღლებს აქვთ, პატიმრებს კი „პაგანიალა“, „პაგრიმუხა“... ჰოდა, ხვდები, „ნირიახა“, „უნამუსო“, „ძონძი“ რატომ ჰქვიათ... თუმცა შესაძლოა, ზოგიერთმა მეტსახელმა ისე დაგაბნიოთ, სანამ მისი „მონათვლის“ ისტორიას არ გაიგებთ, ვერაფერს მიხვდებით.

რუსთავის №17 ზონაზე ახალი ნაკადი მოვიდა. მაყურებლებმა და ოფიცრებმა ერთობლივად გადაანაწილეს პატიმრები, ზოგი ნორმალურ კამერაში წავიდა, რამდენიმე კი „კაზლიატნიკში“. პატიმარი №0578 ამ ყველაფერს ოლიმპიური სიმშვიდით უყურებდა, რადგან ეს მისთვის არც პირველი იყო და არც ბოლო. უბრალოდ, პატიმრების სახეებს აკვირდებოდა. იშვიათად, ვინმეს რამე გაეპროტესტებინა და მაყურებლების გადაწყვეტილებას შეწინააღმდეგებოდა. მით უმეტეს, რომ მაყურებლებმა პრაქტიკულად, ყველას განაჩენი ზეპირად იცოდნენ. ერთადერთი, რამაც იმ დღეს №0578-ის ყურადღება მიიქცია, ასაკოვანი პატიმარი იყო, რომელიც „კაზლიატნიკში“ გაუშვეს. როცა ეს მოისმინა, მაყურებლებს შეხედა, შეუბღვირა, თავი გადააქნია და ჩუმად წავიდა კამერისკენ.

მეორე დღეს, სხვებთან ერთად აბანოში ის პატიმარიც შემოვიდა, დინჯად გაიხადა და სახე შხაპს მიუშვირა. მთელი სხეული სვირინგებით ჰქონდა მოხატული, მაგრამ №0578-ის ყურადღება მხრებზე დახატულმა ე.წ. ქურდულმა ვარსკვლავებმა მიიპყრო. აბანოდან №0578 მაყურებლების კამერაში მივიდა.

„მომისმინე, გიო, გუშინ რომ პატიმრები მოიყვანეს და ერთ-ერთი კაზიოლებში გაუშვით, დღეს იყო აბანოში და მხრებზე ქურდული ვარსკვლავები ეხატა“, — უთხრა მაყურებელს.

„მერე რა გიკვირს, ქურდული ვარსკვლავები ახლა „საქათმეში“ რომ სხედან, იმათაც ახატიათ. აღარ არის ის დრო, ვინმე რომ ვარსკვლავს დაიხატავდა და ქურდები ხორცს აჭრიდნენ“, — უპასუხა მაყურებელმა.

„კი, მაგრამ ძველ და ახალ სვირინგს ვარჩევ. ძველსა და ახალ ვარსკვლავს შორისაც არის განსხვავება. ძველი ვარსკვლავები აქვს იმას, ნაღდი ქურდული და ვინ არის, ქურდია?!“ — არ მოეშვა №0578.

„ძველი ვარსკვლავები? წამო, აბა, მანახე, ვისზე ამბობ. გუშინ „კაზლიატნიკში“ მგონი, სამი პატიმარი წავიდა“, — თქვა მაყურებელმა და წამოდგა.

როცა ზონის მაყურებელი და №0578 „კაზიოლების“ კამერაში შევიდნენ, ყველა პატიმარი ფეხზე წამოდგა... ყველა, იმ ერთის გარდა. №0578-მა თვალით ანიშნა, ეს არისო და მაყურებელმაც გესლიანად გაიცინა.

„როგორ ვერ მიხვდი, ვისზე ამბობდი... ეს სააკაძეა, სააკაძე“, — თქვა და კამერიდან გავიდა. №0578 მაშინვე უკან გაჰყვა.

„ვინ სააკაძე, რას ამბობ?!“ — ჰკითხა მაყურებელს.

„შენი გაქანებიდან გამომდინარე, ყველაზე ცნობილი სააკაძე კი გეცოდინება ვინც არის. ისიც გეცოდინება, რა გააკეთა და მაგანაც ეს გააკეთა. ამიტომ ჰქვია მეტსახელად სააკაძე და ამიტომ არის „კაზლიატნიკში“, — მოკლედ მოჭრა მაყურებელმა.

„მოიცა კაცო, რა ქნა ასეთი? შაჰ-აბასს შეეკრა თუ მარტყოფის და მარაბდის ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა?!“ — ისევ ჰკითხა №0578-მა.

„შვილი გაწირა, შვილი. და მაგის შვილს ცნობისათვის პაატა ერქვა. შედი, უთხარი მომიყევი-თქო. ოღონდ ისე კი არა, შენ რომ იცი ხოლმე, თუ არ შეწუხდებით, იქნებ მომიყვე... წამოარტყი და მოაყოლე, „კაზიოლია“, რა. ჰო, ქურდობამდე მართლა ცოტა აკლდა, იმიტომაც დაიხატა ვარსკვლავები, საქმე წინ წაიგდო, მაგრამ ხომ იცი, აქ როგორ არის, სირზე მაღლა ახტომას რომ დააპირებ, ფეხი გიცდება და სირზე ეცემი“, — თქვა მაყურებელმა და კამერაში შევიდა.

№0578-მა კი ისევ „კაზიოლებს“ მიაშურა. კამერაში მისი შესვლის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე პატიმარი წამოდგა ფეხზე, მაყურებელი აღარ ჩანდა და ყველამ არ ჩათვალა საჭიროდ ფეხზე ამდგარიყო. №0578 „სააკაძესთან“ მივიდა, გვერდით დაუჯდა და პირდაპირ უთხრა: „შენი ამბავი უნდა მომიყვე. ოღონდ ვრცლად და დაწვრილებით. თუ ახლა ვერ მოყვები, ხვალ იყოს, მაქსიმუმ ზეგ. გასაგებია?!“

„და რატომ უნდა მოგიყვე?!“ — კითხვა შეუბრუნა სააკაძემ.

„მაინტერესებს და იმიტომ. შემიძლია იგივე მაყურებელს გავამეორებინო, მაგრამ ხვდები, რომ ამის საჭიროება არ არის, შენით, მშვიდად... ობიექტურად“, — გაულიმა №0578-მა.

„შემეშვი“, — თქვა სააკაძემ, ნარზე წამოწვა და თვალები მილულა.

№0578 ფეხზე წამოდგა, ბოთლით წყალი აიღო და „სააკაძეს“ თავზე დააცალა. ის არ განძრეულა, მშვიდად იწვა და ელოდა როდის ჩამოიცლებოდა წყალი, მერე ადგა, თავი გაიმშრალა, ნარზე ჩამოჯდა, №0578-ს მიაშტერდა და ჰკითხა: „ვინ ხარ?!“

„პატიმარი №0578. სტატუსი თუ გაინტერესებს, კაი ბიჭი არ ვარ, მაგრამ „სხადნიაკებს“ ვესწრები, გადაწყვეტილებების მიღებაში ვმონაწილეობ და მაყურებლები ჩემს აზრს ითვალისწინებენ. კიდევ რა გაინტერესებს?!“ — ახლა №0578-მა შეუბრუნა კითხვა.

„არაფერი, მაგრამ... არაქურდულია ეგ... კაი ბიჭი არ ხარ და „სხადნიაკებს“ გასწრებენ?!“ — იქედნურად ჩაიცინა სააკაძემ და წამოდგა.

„ეგ შენი გასარჩევი არ არის, მაყურებლებს თუ ვინმე ჰკითხავს, პასუხსაც გასცემენ, მაგრამ შენ მაგ კითხვის დასმის უფლება არ გაქვს. მიდი ახლა, დაიწყე“, — გაამხნევა №0578-მა.

„რა დავიწყო? ქურდულს შევწირე მთელი ცხოვრება და ახლა აქ ვარ. რა დავიწყო? რა გითხრა?!“ — ლამის ტირილით თქვა პატიმარმა.

№0578-მა პასუხი არ გასცა, მიხვდა, კვანძის გახსნა ახლოს იყო და დუმილი სჯობდა.

„ჩემზე მეტად არავინ დახარჯულა ქურდული სამყაროსთვის. რვა წლიდან... ჰო, არ მეშლება, რვა წლიდან ვამბობდი, ქურდი უნდა გავხდე-მეთქი. 11 წლის ვიყავი, პირველად რომ დამიჭირეს ქურდობისთვის, მაგრამ არ გამასამართლეს. 14 წლის ვიყავი, პირველ „სროკზე“ რომ წავედი და მალალეტკების ზონას ვუყურებდი. მერე 19 წლის ვიყავი, ისევ რომ დამიჭირეს და დიდების ზონას ვუყურებდი ქსანში. შენ ქურდების პერიოდში 19 წლის მაყურებელი გაგიგია?! მე ვიყავი, მე... ერთადერთი... მალევე გამოვედი, მაგრამ მალევე შემაბრუნეს და გამკრიტეს. დიდი სროკი მომცეს, ამიტომ გაიწელა ჩემი ქურდად მონათვლა. გარეთ ცოლ-შვილი დამრჩა, ჩემი ბიჭი იზრდებოდა და საძმაკაცო იმასაც „პრისტუპნიკულად“, ქურდად ზრდიდა. რომ გამოვედი, 16 წლის იყო. ქურდებთან მომივიდა დაპირისპირება, დამიძახეს, მაგრამ ვერ წავედი, არ შემეძლო, ავად ვიყავი, ტუბდისპანსერში ვიწექი და შვილი გავუშვი. იმათ კიდევ შვილი მომიკლეს და მოჭრილი ყური გამომიგზავნეს. მერე, როცა ფეხზე დავდექი და სხადნიაკი მოვითხოვე, ქურდები პირზე დამადგნენ, შენმა შვილმა სისულელეები ილაპარაკა და მოსაკლავი იყოო. 16 წლის ბავშვს რომ აჯობებდნენ ბაზარში, აბა რა ძნელი მისახვედრია. ამ ამბიდან რამდენიმე დღეში მილიციამ იარაღი ჩამიდო. ეგეც ქურდების ჩაწყობილი მგონია, სროკზე წამოვედი და იმათი გადაწყვეტილებით კაზლიატნიკში მოვხვდი. სააკაძეც იქ დამარქვეს, ბოლომდე რომ გავენადგურებინე. ეს არის ცხოვრება, ეს?!“ — ბღავილი ამოუშვა პატიმარმა.

№05780მა დააცადა, სანამ დაწყნარდებოდა, მერე კი მშვიდად ჰკითხა: „რაზე ზიხარ?“

„წამალზე. რომ გამოვედი ბოლო სროკიდან, შევჯექი. აღარც შვილი, ცოლი ნერვიულობამ გადაიყოლა და დავრჩი მარტო. ამ სროკიდან თუ გავაღწევ, ისევ გავიკეთებ. დალევა არ შემიძლია, არა“, — ჩაილაპარაკა პატიმარმა.

„მომისმინე... ჩემი აზრით, იმიტომ კი არ ხარ კაზიოლების კამერაში, რომ შვილი გაუგზავნე იმათ... ახლა რომ ამბობ, აზრი დაკარგა ცხოვრებამო... რატომ არ დაერიე იმ ქურდებს, რატომ არ გაიყოლე 1-2 ქურდი, რატომ არ წააკალი შენს შვილს? გინდა გითხრა რატომ? იცოდი, რომ ქურდის მკვლელს მოგკლავდნენ და მაგის შეგეშინდა. სიცოცხლემ აზრი კი არ დაკარგა, სიცოცხლეს ებღაუჭები, თორემ თუ ცოლიც არ გყავს, შვილიც არ გყავს და წამლით იკლავ თავს, გაიყოლე ვინც გაგამწარა და მერე იმას დაელოდე, რომელიმე კაი ბიჭი როდის დაგაჭედებს ტყვიას ზურგში, რომ ქურდის მკვლელის მოკვლით, ქურდის ტიტული მიიღოს. მაგრამ არ ხარ შენ ამის გამკეთებელი, ამის ერთი ადგილი არ გაქვს, საკუთარი თავი გენანება და სააკაძე და შადიმანი კი არა, ნარცისი უნდა გერქვას, საკუთარ თავზე შეყვარებულო იდიოტო“, — უთხრა №0578-მა და წამოდგა.

„არა...“ — იღრიალა სააკაძემ. „არა მეთქი... არ იცი შენ... ვცადე რამდენჯერმე, მაგრამ არ გამომივიდა.“

„შენ ერთ-ერთი სასმელის რეკლამა თუ გახსოვს, რაღაც გათამაშებაში ბოთლის სახურავებს კიდევ სცადეთ რომ ეწერა? ჰოდა, იმდენჯერ უნდა გეცადა, სანამ მიზანს არ მიაღწევდი, მაგრამ...“ — №0578 კამერიდან გავიდა და კარგა ხანს ესმოდა, როგორ გმინავდა „სააკაძე“.

ვერსიანიუსი

ნოემბერში საქართველოს საზღვარზე 436 234 ვიზიტორი დაფიქსირდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი წარმოგიდგენთ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს გასული თვის მდგომარეობით, კერძოდ:

2015 წლის ნოემბრის თვე 436 234 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 8,4%-ით მეტია.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი — 144 109 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 33%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 3,6%);

ბ) ტრანზიტი — 93 716 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 21,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 10,5%);

გ) სხვა — 198 409 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 45,5%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 11,2%).

რაც შეეხება იანვარ-ნოემბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 5 431 723 ვიზიტი განხორციელდა, რაც 6,9%-ით მეტია 2014 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

2015 წლის ნოემბერშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ სომხეთიდან (-1%), თურქეთიდან (+2,2%), აზერბაიჯანიდან (+22%), რუსეთიდან (+7%) და უკრაინიდან (-2%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-ნოემბერშიც გამოირჩნენ ლიტვა, იტალია, გერმანია და ლატვია (შესაბამისად 17%, 14%, 11%, და 11%), შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთი (30%), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელარუსი (52%), ახლო აღმოსავლეთიდან — ისრაელი (39%), ხოლო აზიის ქვეყნებიდან — არაბეთის გაერთიანებული საამიროები 748% და საუდის არაბეთი — 79%-იანი მატებით. აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 10%-იანი ზრდაც.

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს განახლებული შენობა გაიხსნა

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორმა ზვიად ქაწაშვილმა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ ზუგდიდში საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს განახლებული შენობა გახსნეს. ახლადგარემონტებული, ორსართულიანი შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით არის აღჭურვილი. შენობაში 46 მეხანძრე-მაშველი და 37 თანამშრომელი იმუშავებს. მეხანძრე-მაშველებს ახალი ყოველდღიური ფორმები გადაეცათ. ზუგდიდს 3 სახანძრო და 2 სამაშველო ავტომანქანა მოემსახურება. ღონისძიებას შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილეები, სააგენტოს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ. სტუმრებმა სამმართველოს გარემონტებული შენობა, სახანძრო-სამაშველო ტექნიკა და სრული აღჭურვილობა დაათვალიერეს. მეხანძრე-მაშველებმა სტუმრებისთვის სიმულაციური ჩვენება გამართეს. მათ „დაზარალებული“ სპეციალური საკაცით გრძელ თოკზე დაუშვეს, ხანძრის ქრობის პროცესი წარმოადგინეს და საევაკუაციო ბალიშზე სიმაღლიდან ხტომა განახორციელეს.

„ვერსიანიუსი“

საქართველოში 5 000-ზე მეტი აივინფიცირებულია

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

შესაძლოა, შიდსის გამოკვლევა გეგმური გამოკვლევების ჩამონათვალში შევიდეს

1 დეკემბერი შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეა. ამ დაავადებამ ეპიდემიის დაწყებიდან 2014 წლამდე, 25 მილიონზე მეტი ადამიანი შეიწირა და მიუხედავად იმისა, რომ დიდი იმედი გვქონდა, ეს პრობლემა საქართველოს ნაკლებად შეეხებოდა, დღეისთვის არსებული მდგომარეობა სიმშვიდის საფუძველს ნამდვილად არ გვაძლევს: 2015 წლის 20 ნოემბრის მონაცემებით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 5,331 შემთხვევა. ინფიცირებულთაგან 3,932 მამაკაცია, 1,399 — ქალი. პაციენტთა უმრავლესობა 29-39 წლისაა. მაღალეფექტიან აივმკურნალობაზე იმყოფება 2,615 პაციენტი, მათგან 46 ბავშვია. აივინფექციის ყველაზე მეტი შემთხვევა რეგისტრირებულია თბილისში (1,875 შემთხვევა), შემდეგ მოდის სამეგრელო 729, იმერეთი 702 და აჭარა 627 შემთხვევით. „ვერსიას“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის გლობალური ფონდის შიდსის პროგრამის მენეჯერი ქეთი სტვილია ესაუბრება და აღნიშნავს, რომ დღეს ნაკლები პრობლემის წინაშე ვიქნებოდით, დაავადების დროული დიაგნოსტირება და მკურნალობა რომ ხდებოდეს.

— შიდსის შემთხვევები საქართველოში ნამდვილად იმატებს, თუმცა არის სტაბილური ნელი მატება. გასაგებია, ეს დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საბედნიეროდ, საგანგაშო ვითარება არ გვაქვს.

წელსაც საქართველო შეუერთდა მსოფლიო საზოგადოებას, ჩატარდა ქუჩის ტესტირების აქციები, შემოგვიერთდა რეგიონებიც, მობილიზებული იყო შიდსის სამსახური... ჩატარდა ტრადიციული კონფერენცია, სადაც დარგის სპეციალისტები, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, არასამთავრობები მონაწილეობდნენ. კონფერენციაზე გახმოვანდა წარმატებები, მიღწევები და გამოიკვეთა ის პრობლემები, რაც დარგში დღემდე არსებობს.

— ქალბატონო ქეთი, კონკრეტულად რა პრობლემებზე საუბრობთ?

— არის ინფრასტრუქტურის პრობლემები, ეს ეხება შიდსის ცენტრს თბილისში. სამინისტრო ყველაფერს აკეთებს, რათა მაქსიმალურად სწრაფად მოგვარდეს ეს საკითხი, კერძო ინვესტორთან მიდის მოლაპარაკება... გარდა ამისა, დიდი პრობლემაა გვიანი დიაგნოსტიკა — პაციენტს დიაგნოზი ხშირად მაშინ უდგინდება, როცა მოვლილი აქვს არაერთი სამედიცინო დაწესებულება და იგივე სამედიცინო პერსონალი ყველაზე ბოლოს მიიტანს ხოლმე ეჭვს ამ დაავადებაზე. არადა, მაქსიმალურად ვცდილობთ, მივაწოდოთ ექიმებს ინფორმაცია, როდის უნდა მიიტანონ ეჭვი შიდსზე. დროულად რომ დავსვათ დიაგნოზი, გაცილებით უკეთესი შედეგები იქნება, როგორც მკურნალობის თვალსაზრისით, ისე პრევენციისთვის.

— საქართველო არაერთი წელია ამ დაავადებას ებრძვის. დღეს როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება, ინფორმირებულობის დონე ამაღლდა თუ კვლავ კარჩაკეტილები ვართ?

— ჩვენი დაკვირვებით, სტიგმა დღესაც საკმაოდ მაღალია. სამწუხაროდ, ეს დაავადება კვლავ აღიქმება სასიკვდილო განაჩენად და მას სდევს სტიგმა. არადა, მკურნალობა ინფიცირებულ ადამიანს საშუალებას აძლევს, სრულფასოვანი ცხოვრებით იცხოვროს. ადამიანები კი ამ დაავადებას აიგივებენ სასიკვდილო განაჩენთან, ეშინიათ ტესტირების — ვაიდა, დადასტურდეს დიაგნოზი. არადა, C ჰეპატიტის გადაცემის რისკები იგივეა და ადამიანებიც ყოველგვარი სტიგმის გარეშე იტარებენ გამოკვლევას. იგივე უნდა ხდებოდეს შიდსის შემთხვევაში, რადგან ინფიცირებულებს სრულფასოვან მკურნალობას ვთავაზობთ.

— ასეთ დროს კონფიდენციალობა დაცულია, არა?

— შიდსის დიაგნოზის დასმის შემთხვევაში, აბსოლუტური კონფიდენციალობაა და შიდსის სამსახურის გარდა ეს ინფორმაცია არსად გადის, თუ რა თქმა უნდა, თავად პაციენტის სურვილი არ იქნება, ფაქტი გახმაურდეს. სხვათა შორის, საქართველოში რამდენიმე ადამიანმა ღიად განაცხადა, რომ აქვს შიდსი...

— და პასუხად საზოგადოების ზიზღი დაიმსახურეს თუ თანაგრძნობა?

— სამწუხაროდ, საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება იყო როგორც ინფიცირებულის, ისე მისი ოჯახის წევრების მიმართ... ჩვენი საზოგადოება კვლავ არ არის მზად, რეალურად აღიქვას ამ ადამიანების პრობლემები და გააცნობიეროს, რომ დაავადების რისკი აბსოლუტურად ყველას ემუქრება და არა მხოლოდ მარგინალიზებულ ჯგუფებს — ნარკომომხმარებლებს, სექსმუშაკებსა თუ ჰომოსექსუალ მამაკაცებს. ეს მთელი საზოგადოების პრობლემაა!

— როდესმე იქნება საზოგადოება მზად, მიიღოს ეს პრობლემა?

— გარდა ინფორმირებულების დაბალი დონისა, პრობლემაა კიდევ ის, რომ ეს საზოგადოება არსად ჩანს. თუ თვითონ ინფიცირებულნი არ გამოვლენ, ღიად არ ილაპარაკებენ და არ დაიცავენ თავიანთ უფლებებს, საზოგადოება ალბათ თავისით ამ პრობლემას ვერასოდეს აღიარებს — რასაც ვერ ვხედავთ, იმის აღიარება გვიჭირს. ამიტომ ვცდილობთ, ვიმუშაოთ ინფიცირებულებთან, რათა ფარდა ახადონ საკითხს და დაიცვან თავიანთი უფლებები.

— სახელმწიფო თუ იცავს მათ უფლებებს?

— რა თქმა უნდა... წლების განმავლობაში ვცდილობდით მაქსიმალურად გაგვეფართოებინა ხელმისაწვდომობა ტესტირებაზე, რაშიც დაგვეხმარა მობილური ლაბორატორიები, რომლებიც შევიძინეთ გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში და იმ ადგილებშიც კი, სადაც გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო, ამ ამბულატორიების საშუალებით, ყველას ვაძლევთ გამკვლევის შესაძლებლობას; ყველა გამოვლენილ აივინფიცირებულს აქვს საშუალება, ჩაიტაროს მკურნალობა უფასოდ და მიიღოს მედიკამენტები. თუმცა მკურნალობა ხანგრძლივია, ეს ადამიანები აბსოლუტურად სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობენ. წლების განმავლობაში გლობალური ფონდი იყო ძირითადი დამფინანსებელი, მაგრამ ახლა უკვე სახელმწიფოც იღებს ვალდებულებას, 2018 წლის ბოლოსთვის ჯერ ნაწილობრივ დააფინანსოს ეს პროგრამები, ხოლო შემდეგ უკვე სრულად.

— უფასო დიაგნოსტირებისა და მკურნალობისთვის „ნაცნობების“ ან „ზევით“ ვინმეს შეწუხება საჭირო არ არის?

— არა, პირიქით, რამდენადაც ვიცი, აქეთ ვეხვეწებით ადამიანებს, მობრძანდნენ და ჩაიტარონ უფასო გამოკვლევები. ახლა კვირეული მიმდინარეობს და თუ ვინმეს რაიმე ეჭვი აქვს ან აქვს სარისკო ქცევები, ისარგებლონ ამ შესაძლებლობით და ჩაიტარონ გამოკვლევა, მერე კი მკურნალობა. ჩვენი მობილური ლაბორატორიები რეგიონშიც მოძრაობს და გამოკვლევისთვის თბილისში ჩამოსვლა არ მოუწევთ.

— დაავადების პრევენციისთვის ალბათ ურიგო არ იქნება, ტატუსალონები და სტომატოლოგიური კაბინეტებიც მოწმდებოდეს, რადგან გარდა ნარკოტიკების მოხმარებისა თუ დაუცველი სქესობრივი კავშირისა, სვირინგის გაკეთება ერთ-ერთ რისკფაქტორად მიიჩნევა...

— გეთანხმებით, მართალია ამ გზით C ჰეპატიტი უფრო ადვილად ვრცელდება, თუმცა შიდსით გავრცელების რისკიც არსებობს.

— ისიც ფაქტია, რომ სანამ რაღაც ძალიან არ შეგვაწუხებს, ექიმთან მისვლას ვერიდებით.

— ჩვენი საზოგადოება ახლა იწყებს გაცნობიერებას, რა არის პრევენციული, გეგმური გამოკვლევა. შეიძლება შიდსის გამოკვლევაც შევიტანოთ გეგმურ გამოკვლევებში. ორსულებში უკვე არის ეს და გვაქვს შესაძლებლობა, ნაყოფზე დაავადების გავრცელება მინიმუმამდე დავიყვანოთ იმ შემთხვევაში, თუ დედა ინფიცირებულია.

— დღეს აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ შიდსის ვირუსი ხელოვნურადაა შექმნილი...

— პროფესიულ საზოგადოებაში ასეთ მითებს ვერ ავყვებით. ისტორიის მანძილზე კაცობრიობა ყოველთვის იბრძოდა რომელიმე სასიკვდილო დაავადების წინააღმდეგ. დამეთანხმებით, მაშინ ტექნოლოგიები ასე განვითარებული არ იყო, რომ იგივე მითები წარმოშობილიყო. რა თქმა უნდა, ტექნოლოგიების განვითარება სხვადასხვა ეჭვს აჩენს, მაგრამ ფაქტი ერთია — ყოველთვის არსებობს რაღაც ვირუსი, რომელმაც განიცადა მუტაცია და გახდა გაცილებით მავნე, ვიდრე იყო. ამისგან სამწუხაროდ დაცულები არასოდეს ვართ.

— იმედი ხომ მაინც შეგვიძლია დავიტოვოთ, რომ ამ ვირუსს ოდესმე დავამარცხებთ?

— ...როგორც გითხარით, პირველი ჩვენი მტერი არის სტიგმა. თუ საზოგადოება არ მივიდა გამოსაკვლევად და არ გამოვავლინეთ, ამის გაკეთება გაჭირდება. მკურნალობა პრევენციის საუკეთესო მეთოდია — სისხლში ვირუსიც განულებულია, გადაცემის ალბათობაც ნულია და ვინც მკურნალობს, ის საზოგადოებისთვის უსაფრთხოა.

„საქართველოში ყველა მეორე ქალი „ინვალიდია“

რეპროდუქტოლოგი არჩილ ხომასურიძე საუნივერსიტეტო პროგრამაში სქესობრივი აღზრდის ჩართვის ინიციატივით გამოდის

მაკა ლომაძე
555-27-95-13

რეპროდუქტოლოგი არჩილ ხომასურიძე უკვე მრავალი წელია ცდილობს, საქართველოში სქესობრივი აღზრდა დანერგოს. როგორც ამბობს, შესაბამისი ინიციატივით, მან განათლების სამინისტროს არაერთხელ მიმართა. არჩილ ხომასურიძე თავად გვიხსნის, რატომ არის საქართველოში ყველა მეორე ქალი „ინვალიდი“ და რატომ უნდა გავიზიაროთ ამ სფეროში დანიის გამოცდილება.

— წელს იოსებ ჟორდანიას დაბადების 120 წლისთავია. მისი იდეოლოგია ნოვატორული იყო მთელ მსოფლიოში. მან 30 წლით გაუსწრო ეპოქას. იუბილე კონფერენციით აღვნიშნეთ, რომელსაც წამყვანი მეცნიერები, 200-ზე მეტი გამოჩენილი ექიმი დაესწრო. მოხსენებების შემდეგ, დოკუმენტური ფილმებიც ვაჩვენეთ, ჟორდანიას ცხოვრების შესახებ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა არმიის მთავარი გინეკოლოგი, ცოლ-შვილთან ერთად, მოსკოვში, შესანიშნავ პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ ყველაფერი მიატოვა და დაბრუნდა სამშობლოში, სადაც ბინაც კი არ ჰქონდა. ამიტომ, მერიას კიდევ ერთხელ მივმართე ინიციატივით, სანკტ-პეტერბურგის ქუჩას, სადაც მეცნიერი ქირით ცხოვრობდა, მისი სახელი დაერქვას. გმირობა იყო საქართველოში ინსტიტუტის დაარსება. მას კიდევ ბევრი კარგი რამ ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მალე დაიღუპა. მერე უამრავი პრობლემა შეგვექმნა, ჩაჩავას ინსტიტუტთან მიერთებასაც გვიპირებდნენ. თუმცა, ედუარდ შევარდნაძემ თქვა, როგორ შეიძლება საქართველოში უშვილობის ინსტიტუტი დაიკეტოსო და მისი ჩარევით, ინსტიტუტი გადარჩა. ჩვენი ფუნქცია მხოლოდ უშვილობა არ არის. უნდა ვიზრუნოთ სქესობრივ აღზრდაზეც, რომლის არარსებობის გამო, დღეს საქართველოში ბევრს, განსაკუთრებით ქალებს, ხშირად არ აქვთ სქესობრივი გრძნობა, ლტოლვა ანუ ლიბიდო. ასე თუ გაგრძელდა, ჩვენი ქალები ინვალიდებად დარჩებიან.

— ასეთ რადიკალურ შეფასებას რის საფუძველზე აკეთებთ?

— ანომალურია ყველა ზრდასრული ქმნილება, რომელსაც არ აქვს ორგაზმი. ერთი კვირის წინ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ საქართველოში, ორგაზმს ვერ განიცდის, უბედური და უფლებადაკარგულია ყველა მეორე ქალი. ამის ერთ-ერთი მიზეზი, სქესობრივი აღზრდის არარსებობაა. დანიაში სქესობრივი აღზრდა მეოთხე კლასიდან იწყება. ჩვენთან, რა თქმა უნდა, მეოთხე კლასში უცებ ვერ შევიტანთ სქესობრივ აღზრდას — ჩვენი საზოგადოება, მშობლები, ცრუმღვდლები არ არიან მზად. ამის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ, განათლების სამინისტროსათვის პირველ ეტაპზე შეგვეთავაზებინა სქესობრივი აღზრდის შეტანა სამედიცინო ინსტიტუტის მე-5 და მე-6 კურსის პროგრამებში. მოგვიანებით, შეგვიძლია დამწყებ კურსებზეც გადავიდეთ. 25 წლის წინ მოიწონა ეს წინადადება განათლების სამინისტრომ, მაგრამ თაროზე შემოდეს პროექტი. ვნახოთ, ამჯერად რა გამოგვივა.

— საინტერესოა, როგორ წარმოგიდგენიათ სქესობრივი აღზრდა საქართველოში?

— ეთნიკური, რელიგიური და საზოგადოებრივი თავისებურებები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ეს საკითხი, არ უნდა გახდეს განხეთქილების საგანი, ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. არც ახალი ველოსიპედის გამოგონება იქნება სწორი. დანიელების გამოცდილება საუკეთესოა ამ სფეროში და რატომ არ უნდა გავითვალისწინოთ? მათაც ფრთხილად დაიწყეს ამ რეფორმის გატარება. მთავარია, მათ გაიაზრეს სქესობრივი აღზრდის მნიშვნელობა და ის, რომ ამას ვერაფერი ჩაანაცვლებს. სქესობრივი აღზრდა აუცილებელია, რადგან პირდაპირაა კავშირში ქალის ჯანმრთელობასთან, ბედნიერებასთან — ქალს არა მხოლოდ რეპროდუქციული, არამედ სექსუალური ცხოვრების უფლებაც აქვს. სასურველია, იგი რეგულარულ ხასიათს ატარებდეს. კარგია, თუ ქალი 18 წლიდან დაიწყებს სქესობრივ ცხოვრებას – ასეა გამართლებული სამედიცინო თვალსაზრისით. თუმცა, ინდივიდუალური მიდგომაც არ უნდა გამოვრიცხოთ.

მაკა ლომაძე
555-27-95-13

სოციალურ ქსელს ფსიქოლოგიურ პათოლოგიამდე მივყავართ



ინტერნეტი 21-ე საუკუნის ადამიანისთვის აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა. ონლაინსამყაროს გარეშე დღეს პლანეტის მაცხოვრებელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას ვერ წარმოუდგენია ცხოვრება. ინტერნეტი, არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების, ინტელექტის ამაღლების, სახლიდან გაუსვლელად სხვადასხვა ქვეყანაში „მოგზაურობის“, არამედ ურთიერთობის საშუალებაცაა. მეტიც, ისეთ ადამიანებსაც ყველა ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით, ვისაც ონლაინსამყაროსთან ნამდვილი მიჯაჭვულობა აქვს. ფსიქოლოგი თინათინ ჭაღოშვილი „ვერსიასთან“ იმ საფრთხეებზე საუბრობს, რომლებიც, შესაძლებელია, სოციალური ქსელის ისტერიულმა გამოყენებამ და Facebook-მანიამ შეგვიქმნას.

რას ნიშნავს ცრუ თვითრეალიზაცია და როგორ დავიცვათ შვილები FACEBOOK-მანიისგან

— 21-ე საუკუნეში კომპიუტერის გარეშე ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია. ის ისეთივე საჭიროებად იქცა, როგორც ტელევიზორი, მობილური ტელეფონი... ამან, გარკვეული საფრთხის წინაშეც დაგვაყენა: კომპიუტერთან არაჯანსაღი მიჯაჭვულობა, რეალური ცხოვრების ვირტუალურით ჩანაცვლება... ყველაზე მეტად, ამ საფრთხის წინაშე ბავშვები და მოზარდები დგანან. ბავშვები სწრაფად ითვისებენ და ეჩვევიან კომპიუტერს, მოზარდები კი საკუთარ ვირტუალურ სამყაროს იქმნიან, რამაც შესაძლებელია ისინი რეალური ცხოვრების რიტმიდანაც კი ამოაგდოს. ზოგადად, სოციალური ქსელის ისტერიული მოხმარება თუ ცხოვრებაში სხვა არაჯანსაღი დამოკიდებულებები, არასასურველია. ასეთმა ქცევამ შესაძლოა ფსიქოლოგიურ პათოლოგიამდე მიგვიყვანოს.

— კონკრეტულად რა სახის გართულებები შეიძლება გამოიწვიოს ინტერნეტმიჯაჭვულობამ?

— სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პათოლოგიას ვგულისხმობ. ეს დამოკიდებულია ადამიანის ფსიქოტიპზე. პრევენციაა ზომიერება და თვითკონტროლი. პათოლოგიის შემთხვევაში, ადამიანს მხოლოდ ფსიქოთერაპია დაეხმარება.

— ზოგადად, რა ფსიქოტიპია ადამიანი, ვინც ცხოვრობს მაგალითად Facebook-ით?

— ალბათ, ექსტრავერტი, ანუ ადამიანი, ვინც მიმართულია გარემოზე. ის კომპიუტერთან, ყველაზე მეტ დროს სოციალურ ქსელში გაატარებს, რადგან მას უყვარს ენერგიის გაცემა და აქტიურობა. ინტრავერტიკი კი, ანუ ადამიანი, ვინც მიმართულია შინაგან სამყაროზე, კომპიუტერთან დიდ დროს გაატარებს კითხვაში, ლექსების წერაში... კომპიუტერთან ყოფნისას, საკუთარი თავი აუცილებლად უნდა ვაკონტროლოთ — კომპიუტერიც და ინტერნეტიც უნდა მოვიხმაროთ საჭიროებისთვის და არა მიჯაჭვულობის გამო. თავს ვერ გააკონტროლებენ ბავშვები და მოზარდები, ამიტომ მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ — 4 წლამდე ბავშვები არ უნდა დავსვათ კომპიუტერთან. 5-წლიანებს კი, დღეში მხოლოდ ნახევარი საათი უნდა მივცეთ კომპიუტერთან ჯდომის უფლება, თანაც, არაყოველდღიურად. მოზარდი კი, კომპიუტერით შეიძლება დღეში მხოლოდ 1-2 საათი დაკავდეს.

— რა ცვლილებებს იწვევს ადამიანის ცხოვრებაში და ურთიერთობებში სოციალური ქსელი?

— ვირტუალური სამყაროთი ცხოვრება ცრუ ფსიქოლოგიურ კმაყოფილებას გვგვრის და რეალური, ცოცხალი შეგრძნებები გვერდზე გვრჩება. მაგალითად, სოციალურ ქსელში ადამიანები ხშირად დებენ ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ ფოტოებს და ეს ნამდვილ აზარტში გადაიზრდება ხოლმე — ეს იქცევა ისტერიულ ქცევად, რომლითაც ადამიანს უჩნდება კმაყოფილების გრძნობა, უმაღლდება თვითშეფასება და ცრუ თვითრეალიზაციასაც კი განიცდის. ამ დროს, ის რეალობას წყდება. ერთ დღეს კი, როდესაც გამოფხიზლდება, უსიამოვნო განცდა დაეუფლება. რიგ შემთხვევაში, კომპიუტერთან მიჯაჭვულობა, შესაძლოა აზარტულ თამაშებზე, ნარკოტიკებსა თუ ალკოჰოლზე დამოკიდებულებასაც დაემსგავსოს. ეს მათ არ ემუქრება, ვინც აცნობიერებს კომპიუტერთან გატარებულ დროს. რეალიზებული ადამიანიც ნაკლებად დადგება კომპიუტერთან მიჯაჭვულობის საფრთხის წინაშე.

— ალბათ იმიტომ, რომ ამ ადამიანებს, შეუძლიათ, სოციალური ქსელი მხოლოდ სასიკეთოდ გამოიყენონ. როგორ ვაქციოთ, მაგალითად FACEBOOK „მსახურად“ და არა „ბატონად“?

— სწორი მიდგომაა. ადამიანი უმთავრესი ღირებულებაა. თუ ამას ყველა გაიაზრებს, მიხვდება, რომ ყველაფერი დანარჩენი ჩვენს სასიკეთოდ უნდა გამოვიყენოთ და არა საზიანოდ. კომპიუტერს აქვს ბევრი დადებითი მხარე: ინფორმაციის ადვილად მოძიება, დამახსოვრება, ელ-ფოსტა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ახლობლებთან ურთიერთობა, რაც მონატრების დაძლევაში გვეხმარება. სამწუხარო ისაა, რომ ადამიანებს ინტერესი გაუნელდათ ადამიანური ურთიერთობების მიმართ, აკმაყოფილებთ ვირტუალური სამყარო და მეგობრული თუ მეზობლური შეხვედრები შემცირდა, თითქოს გაუცხოვდნენ. მთავარია ვიყოთ ზომიერები, სხვა რეცეპტი, უბრალოდ, არ არსებობს.

„არ ვაღიარებთ მას, ვინც თავისი პოლიტიკის დამკვიდრებას ცდილობს ისლამის სახელით“

ნათია დაუშვილი
599-85-09-43

ბოტანიკურის ქუჩაზე ბევრჯერ მოვხვედრილვარ, მაგრამ ინტერესის მიუხედავად, მეჩეთში არასდროს შემივლია... პარიზის ტერაქტის მერე შესვლა გადავწყვიტე. კიბეზე მოხუცი ქალი დამხვდა. რამდენიმე მითითება მომცა — თავსაბურავი შემოიხვიე და ფეხზე გაიხადე, ხალიჩაზე ფეხსაცმლით გავლა არ შეიძლებაო. მორჩილად შევასრულე მისი ნათქვამი. პირველი, რაც მეჩეთში შესვლისას შევნიშნე, ღია თაროები იყო, რომელიც ფეხსაცმლის შესანახად გამოიყენება. მუფთი მეჩეთში არ დამხვდა. იქ მყოფმა ორმა მამაკაცმა ჩაი შემომთავაზა. მითხრეს, ასეთი ჩაი გასინჯული არც გექნებაო. მუფთის მოლოდინში იქ მყოფ საზოგადოებას გავეცანი. მითხრეს, რომ არ მოსწონთ ის, რაც მსოფლიოში ხდება. მალე მუფთიც მოვიდა. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მუფთს, იასინ ალიევს თარჯიმნის დახმარებით ვესაუბრე.

ინტერვიუ საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მუფთთან

— თქვენს რელიგიაზე მიამბეთ... რატომ აკავშირებენ ისლამს და ტერორიზმს ერთმანეთთან?

— მოწყალე და მწყალობელი ალაჰის სახელით, პირველ რიგში იმის თქმა მინდა, რომ ისლამი არის მორჩილება უზენაესი ალაჰისადმი. ყველაფერი იწყება მისი სახელით, კეთდება კეთილი და კარგი საქმეები. ჩვენ იმის წინააღმდეგნი ვართ, რაც ხდება მსოფლიოში. საფრანგეთში მომხდარი ტერაქტები, რატომღაც ასოცირდება ისლამთან, არადა, ამ ყველაფერს არანაირი კავშირი არ აქვს ჩვენს რელიგიასთან. საფრანგეთში სხვა დროსაც ბევრჯერ მომხდარა ტერაქტი,

საქართველოს ტერიტორიები ნაწილი აქვს დაპყრობილი რუსეთს. რატომღაც, ამ შემთხვევაში არავინ ახსენებს რელიგიას. დანარჩენი შემთხვევები კი, ისლამთან ასოცირდება. საფრანგეთში არც ისე დიდი ხნის წინ, მუჰამედ შუამავლის კარიკატურა შექმნეს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით არავინ გააკეთა კომენტარი. არადა, ეს იყო შეურაცხყოფა და ერთგვარი ტერაქტი ისლამის მიმართ. დღეს თუ რომელიმე ქრისტინი ან იუდეველი მკვლელობას ჩაიდენს, არ ამბობენ, რომ ეს ქრისტიანმა ან იუდეველმა ჩაიდინა. სამაგიეროდ, თუ ერთი მუსლიმი რაღაცას ჩაიდენს, ამას ზოგადად, ისლამს მიაწერენ. ეს ჩვენ ძალიან გვაღელვებს.

— საფრანგეთის ტერაქტების მერე, თქვენს მიმართ დამოკიდებულება საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ხომ არ შეიცვალა?

— მინდა, სხვა ქვეყნებსაც გავაგებინო, რომ საქართველოში, რელიგიების და ასევე ეროვნებების მიმართ, განსაკუთრებული ტოლერანტობაა. ჩვენ არასოდეს შეგვქმნია რაიმე პრობლემა. ერთ უბანში, მეჩეთი, სინაგოგა, კათოლიკური და სომხური ეკლესიები, ფუნქციონირებს. ისტორიულად ასე იყო. ჩვენ ერთად ვცხოვრობთ, ერთმანეთს დღესასწაულებს ვუღოცავთ. ქართული სახელმწიფოს და ქართველი ერის მხრიდან, ჩვენს მიმართ ყურადღებასა და მხარდაჭერას ვგრძნობთ. ეს იგრძნობა განსაკუთრებით ქვემო ქართლის მხარეში. ისეც მოხდა, რომ მესამე ძალას უნდოდა ჩვენს შორის შუღლის ჩამოგდება, მაგრამ ჩვენ არ მივეცით ამის საშუალება. სახელმწიფომ, საფრანგეთში მომხდარი ტერაქტის შემდეგ, ჩვენს მიმართ განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოხატა. ასევე, მათ განმარტეს, რომ ისლამი და ტერორიზმი ერთად ვერ იქნება. ასეთი განცხადებები გააკეთეს პრეზიდენტმა, პრემიერმა და პატრიარქმა. ქართველი ერიც მიჯნავს ერთმანეთისგან ისლამსა და ტერორიზმს.

— როგორ აფასებთ ინტერნეტში გავრცლებულ მუქარის შემცველ ვიდეოს, რომელშიც ორი ქართველი ბიჭიც მონაწილეებს?

— მანამდეც იყო ამგვარი მუქარა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასე მოხდება. სახელმწიფოც გვეხმარება, რომ საქართველოში ტრადიციული ისლამი გავავრცელოთ. უნდა აღვზარდოთ ადამიანები ტრადიციული ისლამის მიხედვით.

მინდა, საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს მივმართო, რომ ისლამი და ყურანი შეისწავლონ და გაიგონ სწორად. არ აყვნენ სხვადასხვა შეთავაზებას. ეს არის ერთგვარი პოლიტიკური ორგანო, რომელიც ცდილობს, ისლამი დაამციროს. მათ აპროგრამებენ. ასწავლიან, თუ ურწმუნოებს მოკლავ, მოხვდები სამოთხეში და თუ ისინი მოგკლავენ, მაშინაც სამოთხეში მოხვდებიო. ასეთ ცნებას ისლამი არ აღიარებს. ისლამთან ამას არავითარი კავშირი არ აქვს. ისლამის მიხედვით, თუ ადამიანი უდანაშაულოდ მოკლავს სხვა ადამიანს, მისი სამკვიდრო არის უსასრულო ჯოჯოხეთი. ჩვენ არ ვაღიარებთ მათ, ვინც თავიანთი პოლიტიკის დამკვიდრებას ცდილობს ისლამის სახელით. ეს არ არის ისლამური ბრძოლა. უნდა მოხდეს ისლამისა და ტერორიზმის გამიჯვნა. ისლამი წინააღმდეგია ადამიანის ნაადრევი სიკვდილისა.

1. ვაზის ყვავილედი
2.ძლიერი ფეთქებადი ნივთიერება
3. ტრამვაის მძღოლი
4. ყველაზე პატარა თითი
5. გერმანელი ფერმწერი
6.ზოგადი ინფექციურ-ალერგიული დაავადება
7. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
8. ღრმა და ბნელი ორმო
9.პატარა ნანგალი დაღანგებული წვეტით
10. შხამიანი ბალახოვანი მცენარე
11. როსტევანის ასული
12. გამარჯვების ქალღმერთი რომ.მით.
13. ჯეიმს კემერონის ფილმი
14. ალპინისტთა გადასვლა მთაგრეხილზე
15.„ვარსკვლავური ომების“ რეჟისორი
16. საგანგებოდ გამხმარი ხილი
17. კომედიის მუზა
18.სწორად აზრდილი, უტოტებო ხე
19. პროლეტარიატის ბელადი
20. საყოველთაო გლოვა
21. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
22. ელექტროლოკომოტივი
23.ესპან. ქალების მაქმანიანი მოსასვევი
24. ირლანდიის რესპუბლ. არმია
25.ორგვარი მნიშვნელობა, ორაზროვნება
26. პატარა დროშა
27. თურქეთის საკურორტო ქალაქი
28.რაიმე ნაკეთობის შემცირებული ნიმუში
29. „ბაიერნის“ მეკარე
30. საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელი
31.შთამომავლობის თითოეული საფეხური
32. ქვეყანა დასავლეთ ევროპაში
33. ეგვიპტის დედაქალაქი
34. თხელი ცომი
35. ხერხემლის ძვალი
36. იესოს ნათლობის მდინარე
37. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
38. მწერალი ... იოსელიანი
39. მადლობა - ფრანგულად
40. სუსტი ქარი, სიო
41. გრიბოედოვის „... ჭკუისაგან“
42. ივივეა, რაც იოლქანი
43.ბიბლ. ნოეს უმცროსი ვაჟი
44. ცეცხლის მნათი ნაწილი
45. შხამიანი გომბეშო
46. ქალაქი სამხრეთ საქართვ.
47. ერთაოზის მამა „შერეკილებში“
48. ინგლისური სქელი ლუდი
49. ძილის მგალობელი ფრინველი
50. სანელებელი მცენარე
51. ინგლისელი ეკონომისტი
52. დიაოხის სამეფოს დედაქალაქი
53. მთავარი საწყობი
54. წყლის ორმო
55. „ნატვრის ხის“ პერსონაჟი
56.ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა
57.ქრისტ. რელიგიის ერთ-ერთი საიდუმლო
58.სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე
59.თბილ. „დინამოს“ ლეგენდარ. კაპიტანი
60. სარწყავად გაყვანილი პატარა არხი

მაჩო-რესტორანი გახსნეს

იაპონიის დედაქალაქში ახალი რესტორანი Macho Nikuya გაიხსნა, რომელიც ძირითადად, ბოდიბილდერ-მამაკაცებზე იყო გათვლილი, თუმცა გახსნიდან მალევე აღმოჩნდა, რომ მისი სტუმრების უმეტესობას სხვადასხვა ასაკის სუსტი სქესის წარმომადგენლები შეადგენენ. დაწესებულების მენიუ მწირია, თუმცა მდიდარია ცილებით. მაგალითად, აქაური მზარეულები ამზადებენ კვერცხისა და რძის კოქტეილებს, კაც კლიენტებს შეუძლიათ თავად შეწვან ახალი ხორცი სპეციალურ ქურაზე. მაგრამ, რესტორნის პოპულარობა ქალებში მენიუსთან არაფერ შუაშია. საქმე მის მზარეულებშია — Macho Nikuya-ში მხოლოდ ბოდიბილდერები მუშაობენ, რომლებიც დიდი სიამოვნებით ახდენენ საკუთარი კუნთების დემონსტრირებას. მათი სამუშაო ფორმა მხოლოდ შარვლით შემოიფარგლება და მანდილოსნებს ხელს არაფერი უშლის, მამაკაცების ლამაზი სხეულის ცქერითაც დატკბნენ და თან ცილებით მდიდარი საკვები მიირთვან.

სიკვდილის უცნაური შემთხვევები

ადამიანის გარდაცვალება ყოველთვის სამწუხარო ფაქტია, მაგრამ, თუ ზოგიერთი მათგანის სიკვდილის მიზეზს გაიგებთ, გაოცებას ვერ დამალავთ და ვერც გულიანად გაცინებას აირიდებთ თავიდან. ერთ-ერთი ასეთი უჩვეულო ვითარების მსხვერპლი გახდა ჩეხი მამაკაცი. მისმა ცოლმა ვერა ჩერვაკმა შეიტყო, რომ ქმარი ღალატობდა და თავის მოკვლა გადაწყვიტა — მესმე სართულიდან გადმოხტა და თავზე პირდაპირ მეუღლეს დაეცა. ქალი მოგვიანებით საავადმყოფოში გონს მოვიდა, „მოღალატე“ კი ადგილზე გარდაიცვალა.

კიდევ ერთი უცნაური შემთხვევა — 34 წლის მამაკაცი საკუთარი სახლის სარდაფში იპოვეს გარდაცვლილი. მას საკმაოდ უჩვეულოდ ეცვა: დაფოთლილი ქვედაბოლო, თეთრი ბიუსტჰალტერი, ტყავის ფეხსაცმელი და ქალის პარიკი. თავზე აირწინაღი ჰქონდა გაკეთებული, რომელიც მილით მის უკანალში იყო შეერთებული. ექსპერტების თქმით, იგი გაიგუდა. ოთხმა ჩინელმა მოზარდმა, რომელთაც ტაივანური სერიალი ნახეს ზებუნებრივ ძალებზე. ვირთხის შხამით „შეკმაზული“ ნესვი მიირთვეს და „ჯოჯოხეთში სამოგზაუროდ წავიდნენ“. მათ წერილიც დატოვეს: თუ ჯოჯოხეთშიც ისევე ცუდია, როგორც აქ, ჩვენ დავბრუნდებით. ორი მათგანის „დაბრუნება“ მოხერხდა, ორს კი, ჩანს „იქ“ უფრო მოეწონა. ალპინისტ-ვეტერანს ჟერარ ომელს ექვსჯერ ჰქონდა დალაშქრული მოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი და ყოველ ჯერზე შინ მშვიდობით ბრუნდებოდა. ის საკუთარ სახლში გარდაიცვალა, როცა ნათურას ცვლიდა — კიბიდან ჩამოვარდა და ნიჟარას დაარტყა თავი.

კურდღელმა შეიწირა ფერმერი ვინსენტ კაროჯო. ერთ-ერთი ნადირობის დროს იგი დაიღალა და მდელოზე წამოწვა, თოფი კი გვერდზე დაიდო. მამაკაცს გვერდით შეშინებულმა კურდღელმა ჩაურბინა, რომელმაც სასხლეტს დააბიჯა — ასე „იძია შური“ დახოცილი თანამოძმეების გამო. ჰონგკონგში 65 წლის ქალბატონმა ჩაი ვან-ფონგმა უფლისთვის მადლობის გადახდა გადაწყვიტა, რადგან მისი რძალი ავტოავარიაში მოხვდა, მაგრამ გადარჩა. როცა ქალი მრავალსართულიანი სახლის ეზოში ლოცულობდა, ის ზემოდან გადმოვარდნილმა ცემენტის ტომარამ მოკლა.

ჯორჯ სთორი და ამერიკული გამოცემა Life 1936 წელს, თითქმის ერთ დღეს დაიბადნენ. ახალი ჟურნალის პირველ გვერდზე ახალშობილი ჯორჯის ფოტო იყო განთავსებული წარწერით „ცხოვრება იწყება“. შემდგომშიც სთორის შესახებ გამოცემა დროდადრო აქვეყნებდა ისტორიებს — ორი ქორწინება, მამობა, პენსიაზე გასვლა. 64 წლის ჯორჯი 2000 წელს ჟურნალის ბოლო ნომრის გარეკანზე აღმოჩნდა, ამჯერად წარწერით „ცხოვრება მთავრდება“ (რა თქმა უნდა, გამოცემის დახურვა იგულისხმებოდა), ორი დღის შემდეგ კი სთორი ინფარქტით გარდაიცვალა.

ქალბატონი ამიგდალინა ბალტა საკუთარ სახლში, საბერძნეთის კუნძულ ევიაზე, შიმშილით მკვდარი იპოვეს. ამ დროს კი ბანკში 350 ათასი გირვანქა სტერლინგი და ოქროს 150 ნაკეთობა ჰქონდა.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	2	8		1		6		4
			2				3	
	9	5					2	
	6			7			8	
2								5
	5			4			9	
	8					2	1	
	4				9			
5		1		2		4	6	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8						5		
		6						3
4		1		5	2			6
		9		8	7			
			5	2	1			
			3	4		1		
3			9	1		8		4
1						7		
		4						5

ᲠᲗᲣᲚᲘ

9				6		4		
	3	6					8	1
			3				7	
6				9	7			2
		3		5		1		
8			2	3				4
	8				2			
2	7					3	1	
		9		7				8

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4			3					8
				9			6	
	6	5	2					
	4					8		9
		3		8		5		
1		7					2	
					2	6	8	
	5			3				
3					4			2

Facebook ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ

სოციალური ქსელის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი და მისი მეუღლე პრისცილა ჩანი მშობლები გახდნენ — მათ ქალიშვილი მარკი შეეძინათ. ამის თაობაზე ბედნიერმა მამამ Facebook-ის საკუთარ გვერდზე განაცხადა. ახალშობილის პატივსაცემად, ცოლ-ქმარმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამ პოპულარული სოციალური ქსელის თითქმის მთელი აქციები (99%), რომელთა ღირებულება დღეის მდგომარეობით დაახლოებით 45 მილიარდ დოლარს შეადგენს, ქველმოქმედებისთვის გაიღოს. თუმცა, აღნიშნავენ, რომ აქციების გადაცემა ერთბაშად არ მოხდება, მას მეუღლეების მთელი ცხოვრების განმავლობაში განახორციელებენ. ქველმოქმედების რა სფეროს მოხმარდება Facebook-იდან მიღებული შემოსავალი, ცნობილი არ არის. თუმცა, ქალიშვილისადმი მიძღვნილ წერილში ცუკერბერგი აღნიშნავს, რომ დღეს ადამიანების უმრავლესობა ხუთი მიზეზით კვდება — გულის, ონკოლოგიური, ნეიროდეგენარეციული, ინფექციური დაავადებებისა და ინსულტის გამო. ამ დაავადებათა მკურნალობის კვლევა შეიძლება იყოს მათი მომავალი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება. სოციალური ქსელის დამფუძნებელი იმასაც აღნიშნავს, რომ ცოლ-ქმარი „ჩანი-ცუკერბერგის ინიციატივის“ განხორციელებასაც იწყებს, რომლის მიზანიც პლანეტაზე ადამიანების თანასწორობისთვის ბრძოლაა.

ᲥᲡᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ

10 წლის წინ, 14 წლის ჩინელი გოგონა სიაო იუნი მშობლებს წაეჩხუბა, კარი გაიჯახუნა და სახლიდან წავიდა. მისი ძებნა რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს გოგონა გარდაცვლილად აღიარეს და მშობლებს შესაბამისი ცნობაც მისცეს. ცოტა ხნის წინ კი, სამართალდამცავებმა, ერთ-ერთი ინტერნეტ-კაფეს ტრადიციული შემოწმების შემდეგ, 10 წლის წინ დაკარული გოგონა აღმოაჩინეს. მას ყალბი პირადობის მოწმობა ჰქონდა. გაირკვა, რომ ახლა უკვე 24 წლის სიაო მთელი ეს წლები ინტერნეტ-კაფეებში ცხოვრობდა და კომპიუტერულ თამაშებს იყო მიჯაჭვული. საერთო ბანოებში ეძინა და საჭმელს ზოგჯერ თამაშისას გაცნობილები უყოფდნენ. პოლიციასთან ურთიერთობის შემდეგ, გოგონა მშობლებს შეურიგდა და სახლში დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს ჩინეთი გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ინტერნეტ-დამოკიდებულება ფსიქიკურ დაავადებად აღიარეს. ხელისუფლების გათვლით, ჯერ კიდევ მაშინ 17 წლამდე მოზარდების 17% ამ სენის მსხვერპლი იყო.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	4	5	9	3	2	1	8	7
2	9	8	5	1	7	6	4	3
1	3	7	6	4	8	2	9	5
3	8	6	2	7	1	9	5	4
9	7	4	8	6	5	3	2	1
5	2	1	4	9	3	8	7	6
4	1	3	7	2	9	5	6	8
8	6	9	3	5	4	7	1	2
7	5	2	1	8	6	4	3	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	6	2	9	5	7	4	3	1
1	5	4	6	3	8	2	9	7
9	7	3	2	4	1	8	6	5
4	3	7	8	2	6	1	5	9
2	8	1	7	9	5	6	4	3
6	9	5	3	1	4	7	2	8
3	1	6	5	8	2	9	7	4
7	4	9	1	6	3	5	8	2
5	2	8	4	7	9	3	1	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	3	2	7	6	1	5	9	8
8	7	1	5	9	4	6	3	2
9	6	5	3	8	2	4	7	1
7	5	6	2	4	9	8	1	3
3	1	9	6	7	8	2	5	4
2	4	8	1	5	3	9	6	7
1	9	3	8	2	5	7	4	6
6	2	4	9	1	7	3	8	5
5	8	7	4	3	6	1	2	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

1	3	5	2	8	7	9	4	6
6	4	2	1	9	3	5	8	7
9	8	7	4	6	5	3	2	1
8	7	6	9	3	4	2	1	5
5	2	4	8	1	6	7	9	3
3	9	1	7	5	2	4	6	8
7	6	9	5	2	1	8	3	4
4	1	8	3	7	9	6	5	2
2	5	3	6	4	8	1	7	9

მე-9 გვერდი: 1. აქცენტი; 2. ქარავანი; 3. ენტერიტი; 4. ტანა; 5. აბზინდა; 6. ბუკინისტი; 7. იანუსი; 8. დემონი; 9. პროტონი; 10. ინოზიტი; 11. იდილია; 12. ზმა; 13. ეკონომი; 14. ინია; 15. ოკეი; 16. იბლისი; 17. მედინა; 18. დვირი; 19. უნისონი; 20. ასმათი; 21. სტიბიუმი; 22. ჰაბიტუსი; 23. რიფი; 24. ბიკინი; 25. ენოტი; 26. ალიზი; 27. ჰამამი; 28. ბუკოლიკა; 29. ტუნდრა; 30. ტაიბეი; 31. ისარი; 32. აუტი; 33. ტარიფი; 34. რეკორდი; 35. ინი; 36. მანტია; 37. მეკონგი; 38. „ავეო“; 39. ილია; 40. შკივი; 41. ბუ; 42. მათე; 43. აისი; 44. ალბა; 45. ონა; 46. ვაზნა; 47. პა; 48. სარი; 49. უმი; 50. მალარია; 51. ლავი; 52. იუანი; 53. დილემა; 54. მაო; 55. ანოა; 56. დოლი; 57. გზირი; 58. იდა; 59. კლეი; 60. პკე; 61. ბოი; 62. იკაო.

მე-12 გვერდი: 1. შვეიკი; 2. ვალერიანა; 3. იუნგა; 4. სქოლიო; 5. ქარიყლაპია; 6. ლანდაუ; 7. პლანშე; 8. გორი; 9. ნიველირი; 10. მყვარი; 11. ვოკალიზი; 12. სანდრო; 13. არგონი; 14. იმედი; 15. ლიუ; 16. აკირა; 17. იორი; 18. კაი; 19. ფიასკო; 20. ინა; 21. კვირა; 22. პეპი; 23. პაიკი; 24. კილიტა; 25. იტი; 26. პრინსი; 27. პიკეტი; 28. იღლია; 29. იოვანა; 30. ადელაიდა; 31. რასელი; 32. მნე; 33. იუკა; 34. ზმა; 35. პრაია; 36. ვაიდა; 37. ნავარქოსი; 38. სირ; 39. ოდა; 40. ტახი; 41. სეტი; 42. ადიდა; 43. დიოპტრია; 44. ტაქტი; 45. ემსი; 46. მავასი; 47. სტორტინგი; 48. ირაო; 49. პასტა; 50. არმადა; 51. არინა; 52. სოს; 53. პარმაღი; 54. შოუ; 55. რონალდ; 56. მეანობა; 57. ლია; 58. კლიო; 59. იორღა; 60. გოგიტა; 61. მაუ; 62. ბერინგი; 63. პინია; 64. ტასიკო; 65. არი; 66. ტროა; 67. საგა; 68. ლავინი; 69. ნინძა; 70. „ავეო“; 71. რეა; 72. „ტამანგო“; 73. ბერი; 74. ვასალი; 75. განგური; 76. ფაუ; 77. ერინ; 78. ლიბრი; 79. „გლოკი“; 80. ზეგ; 81. ბანზაი; 82. მის; 83. სლაი; 84. ბაირაღი; 85. რა; 86. რძე; 87. ირა.

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲩᲔᲜᲔᲜ

ავსტრალიელი სწავლულების მოსაზრებით, დაახლოებით ათ წელიწადში მსოფლიოს წამყვანი კლინიკები მოახერხებენ შესაბამისი აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების მომზადებას პირველი ფეხმძიმე მამაკაცისთვის. ამის თქმის მიზეზი კი ის გახდა, რომ ამერიკელმა მეცნიერებმა კლივლენდის უნივერსიტეტიდან მზადყოფნა გამოთქვეს, რომ შეუძლიათ ქალის სასქესო ორგანოები გადაუნერგონ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, დედობის ბედნიერება განიცადონ. სწავლულები აცხადებენ, რომ თეორიულად ეს ყველაფერი შესაძლებელია. ბუნებრივია, მხოლოდ გადანერგვა საკმარისი არ იქნება და კაცებს მოუწევთ სვადასხვა ჰორმონალური პრეპარატებისა და ვიტამინების მიღება. ამის თაობაზე მეცნიერებმა მას შემდეგ განაცხადეს, რაც წარმატებით დასრულდა ოპერაცია, რომლის დროსაც საშვილოსნოს გარეშე დაბადებულ ქალს ორგანო გადაუნრეგეს და შემდგომში შვილიც გააჩინა. აქედან გამომდინარე, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მსგავსი ოპერაციის ჩატარება მამაკაცებზეც არის შესაძლებელი.

ᲒᲐᲠᲗᲝᲕᲐ

1. დიდი ცოდნისა და გამოცდილების ადამიანი
2.იულიუს კეისრის მიერ გადალახული მდინარე
3. პრეფექ-ტურა იაპონიაში
4.სიყვარულის ქალღმერთი ასირიულ-ბაბი-ლონურ მით.
5. სახის ზედა, თვალებს ზევითა ნაწილი
6. ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა
7. ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა
8.ბგერებით ერთნაირი, შინაარსით განსხვ. სიტყვები
9. კედლის ჭაღი
10. შეწეული სტრიქონი ტექსტში
11. მამაკაცის ანტიპოდი
12. ბუნების მძლავრი მოვლენა
13. სათვალიანი გველი
14. მუსიკოსი ... ჩარლზი
15.ნორვეგ. მოგზაური, პოლარული მკვლევარი
16. მექსიკური ალკოჰოლური სასმელი
17. ინკვიზიციის უმცროსი მსახური
18. ტოგოს დედაქალაქი
19. სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი ფორმა
20. კურორტი მარტვილის რაიონში
21. მსახიობი ... ბრანდო
22. პოლონეთის ნაკრების კაპიტანი
23. შინაური პირუტყვის საჭმელი
24. არგონავტების მეთაური
25. ძველი ებრაელი წინასწარმეტყველი
26. დათა თუთაშხიას და
27. შიშველი სხეული ფერწერაში
28.„სატელეფონო სიტყვა“
29. დიდი მეტეორი
30. მსახიობი ... ტაილერი
31.ძველებ. ესპანური ხალხური ცეკვა
32. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა
33. ტროპიკული პარაზიტი მცენარე
34. ტრადიციული მექსიკური სოუსი
35.ალანეტა იუპიტერი ძველ ქართულში
36. უგონო მდგომარეობა
37. ადამის მეუღლე
38.ოტელოს ეროვნება
39. გლადიოლუსის ქართული სახელწოდება
40.ევროს „წინაპარი“
41.კომბლეს იარაღი
42. ბულგარეთის დედაქალაქი
43. ჯორჯიის შტატის დედაქალაქი
44.მიმართვა ფრანგი ქალბატონისადმი
45.გრიშკა რასპუტინის ნამდვილი გვარი
46. კოდიაშვილის ... ქამუშაძე
47. საჭმელი სოკოს სახეობა
48.წითელი ჯვრის საერთაშ. კომიტეტის დამარსებელი
49. ყაჩაღთა ჯგუფი
50. გამოჩენილი ჩეხი ჩოგბურთელი
51. ვაზების მწკრივი ვენახში
52. მოქმედი ვულკანი ალასკას ნახევარკუნძულზე
53. ავტომობილი ბავშვის ენაზე
54. ფეხბურთის მეფე
55.იაპონელი მყვინთავი მარგალიტების მოსაპოვებლად
56.ზამბიის დედაქალაქი
57.ფერმწერი ...-გრეკო
58.ესპ. საფეხბურთო კლუბი „... ვალეკანო“
59. მობილური ტელეფონების მარკა
60. ძველბერძნული ორყურა ჭურჭელი
61.პირველი ბრიტანელი დიდოსტატი ჭადრაკში
62.პიგმეე-ბის ტომი
63.ფორიანი ქანი
64. ლევ ტოლსტოის მამული „იასნაია ...“
65. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე
66. ხელის საგრილობელი
67. ბიძინა ივანიშვილის „რუსული“ სახელი
68. პოეტ ბესარიონ გაბაშვილის ფსევდონიმი
69. ვულკანური გავარვარებული მასა
70. ბარონ მიუნჰაუზენის „ლიტერატურული მამა“
71. „მანჩესტერ იუნაიტედის“ საშინაო სტადიონი „... ტრაფორდი“
72. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
73. ჭაობის მცენარე
74. აგენტი 007
75. კვამლიანი ნისლი დიდ ქალაქებში
76. გარედან ჩასაცმელი გრძელი სახელოებიანი სამოსი
77.ჭრილობის სადეზინფექციო ქიმიური ელემენტი
78. იაპონელი ნობელიანტი მწერალი
79. ინდიელთა ტომი
80. ბედი, ბედისწერა
81. ბელორუსიის დედაქალაქი
82. მუსიკალური გამის VII ნოტი
83. ძაფისებური წანაზარდი ადამიანის თავზე
84.კაციჭამია გოლიათი კელტურ მითოლოგიაში
85. ჯუზეპე ვერდის ოპერა
86. გერმანიის საუნივერსიტეტო ქალაქი

ახირება ჩინოვნიკს ძვირად დაუჯდა

რამდენიმე თვის წინ შოტლანდიელი ჩინოვნიკი, 51 წლის ჯეკი ბიორნსი, პირზე ქაფმომდგარი მოითხოვდა, რომ მის ოლქში — სამხრეთ ლანარკშირში საზოგადოებრივი ტუალეტების რაოდენობა შეემცირებინათ და მიაღწია კიდეც თავისას. რამდენიმე დღის წინ კი, შაბათ დილას, როცა ბიორნსი ქალაქ ჰამილტონის ცენტრში ტაქსის გაჩერებას ცდილობდა, უცებ ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოუნდა. ქუჩაში სწორედ ამ საქმიანობის დროს წაასწრო პოლიციელმა და კანონის სრული დაცვით, 40 ევროთი დააჯარიმა. თუმცა, ჩინოვნიკი მხოლოდ ჯარიმით ვერ „გამოძვრა“ — მოქალაქეებისთვის ბოდიშის მოხდამაც მოუწია და პრესაში დაცინვის ატანაც. ტუალეტების შემცირების მოთხოვნას რომ აყენებდა, ის ამ გზით შოტლანდიის ბიუჯეტის ეკონომიას აპირებდა. რას წარმოიდგენდა, ასე ძვირი თუ დაუჯდებოდა საკუთარი ინიციატივა.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.